# ახალი განათლება

2011 წელი, 15 – 21 დეკემბერი

ფასი 1 ლარი

№39 (553) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


## ისტორიოგრაფია დროსთან თამაშია და მე ეს ძალიან მომწონს



**რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია ბრისტოლის უნივერსიტეტის სტუდენტი გრიგოლ გეგელია.**

„დრო არ იცდის. საქართველოში ზედმეტად ბევრი მითი თანაარსებობს. აუცილებლად მიმაჩნია მათი სწავლისა და კრიტიკისათვის შეფარდება, თუ, რაღა თქმა უნდა, არ გვსურს, რომ ის მოდელირებული და ხავსმოდებული ფუნდამენტი, რომელზეც ყველანი ერთად ვდგავართ, ჩაინგრეს და ჩვენც თან ჩაგვიყოლოს.“

გვერდი 11

საუბრები ბიბლიაზე

## ეგვიპტის უკანასკნელი სასჯელი

გვერდი 9

## რას ნიშნავს საქართველო ჩემთვის

სოხუმიდან დაწყებული, ლტოლვილობა დამებედა!

გვერდი 10

## ყურადღება!

„ახალი განათლების“ წიგნის თაროს“
2012 წლიდან შეემატება
გამომცემლობების –
„ინტელექტისა“ და „არტანუჯის“
წიგნები

ჩამონათვალს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ

## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

„ახალი განათლების“ ხელმოწერის მსურველებს შეუძლიათ
2012 წლის ხელმოწერის თანხა
(ერთი წლით – 52 ლარი, 5 თვით – 26 ლარი)
გადმორიცხონ ჩვენს რეკვიზიტებზე:
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

*სასერტიფიკაციო გამოცდები*

გამოცდების ეროვნული ცენტრი

## განვითარებისა და სწავლის თეორიები

მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრევის ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული

გვერდი 2

*გამოსაშვები გამოცდები*

## 2011–2012 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების საგამოცდო პროგრამები

ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული როგორც მეორე ენა, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია

გვერდი 4-9

სასერტიფიკაციო გამოცდები

# განვითარებისა და სწავლის თეორიები

## მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრევის ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული



### ლევ ვიგოტსკი
(1896-1934)

ლევ ვიგოტსკი, რუსი ფსიქოლოგი, მოსკოვის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი. მისი დაფუძნებულია დეფექტოლოგიის ინსტიტუტი მოსკოვში. ვიგოტსკის ეკუთვნის უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების კულტურულ-ისტორიული თეორია, ასევე, თავის ტვინში ფსიქიკური ფუნქციების სისტემური ლოკალიზაციის თეორია. მანვე ჩამოაყალიბა ბავშვის განვითარების სოციალურ-კულტურული თეორია. ვიგოტსკიმ მისცა დასაბამი მეტყველებისა და აზროვნების ურთიერთმიმართების ექსპერიმენტულ კვლევას განვითარების ჭრილში.

რადგან ბავშვი კონკრეტულ სოციალურ და კულტურულ გარემოში იბადება, მის ფსიქიკურ განვითარებას განსაზღვრავს სოციალური ურთიერთობები და კულტურული მონაპოვარი, მაგ., დამწერლობა, რიცხვითი სისტემა და სხვ. შესაბამისად, ბავშვის აზროვნებისა და, ზოგადად, შემეცნებითი (კოგნიტური) სფეროს განვითარებაც კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ გარემოში ხდება, ბავშვისათვის მნიშვნელოვანი უფროსის (ავტორიტეტის) საშუალებით. ბავშვის ფსიქიკური განვითარებისათვის სოციალური ურთიერთობები წამყვან როლს ასრულებს. ვიგოტსკი ბავშვის განვითარებაში ყოველ ფსიქიკურ ფუნქციას ორ დონეზე განიხილავს: პირველია სოციალურ-ინტერფსიქოლოგიური დონე, რაც ნიშნავს იმას, რომ ბავშვის ფსიქიკა სხვებთან სოციალურ ურთიერთობებში ყალიბდება; მეორეა ინდივიდუალური დონე — ინტრაფსიქოლოგიური, ანუ ამ ეტაპზე ბავშვის გარემოსთან ურთიერთობით მიღებული გამოცდილება შიდა პლანზე გადადის, რაშიც წამყვან როლს მეტყველება ასრულებს.

ვიგოტსკის თეორია ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

1. განვითარება სოციალურ-კულტურულ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს;
2. ბავშვი ცოდნას აგებს და არა პასიურად ითვისებს;
3. სწავლა წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას;
4. ფსიქიკურ განვითარებაში ცენტრალური ადგილი მეტყველებას უკავია.

კულტურას ორნაირი გავლენა აქვს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე: (ა) კულტურის საშუალებით ბავშვი ითვისებს ამ კულტურაში დაგროვილ ცოდნას, (ბ) კულტურა უზრუნველყოფს ბავშვს აზროვნების საშუალებებით, „იარაღებით“. მეტყველება ის იარაღია, რომლის საშუალებითაც უფროსი ბავშვს გადასცემს ცოდნასა და გამოცდილებას.

ბავშვის ინტელექტუალური განვითარება მის მიერ პრობლემის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გამოცდილების შედეგია, რომელსაც ბავშვი სწავლობს და იძენს ძირითადად მისთვის მნიშვნელოვანი უფროსის საშუალებით. დასაწყისში უფროსი ეხმარება ბავშვს და წარმართავს მას პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. შემდეგ კი, თანდათანობით, ბავშვს აძლევს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. შესაბამისად, განვითარების შეფასებისას, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამიჯვნას, თუ რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს დამოუკიდებლად და რისი – სხვისი დახმარებით. ამის გასამიჯნად ვიგოტსკის შემოაქვს **„განვითარების უახლოესი ზონის“** ცნება: ბავშვის განვითარების კანონზომიერება ისეთია, რომ მისი უნარები გარკვეულ პერიოდში მწიფდება და ის ამ უნარებს სრულფასოვნად იყენებს. მეორე მხრივ, შესაძლებელია, რომ მას რომელიმე ფსიქიკური უნარი უკვე აქვს, მაგრამ ეს უნარი განვითარების სტადიაშია, შესაბამისად, ბავშვს მისი სრულად გამოყენება ჯერ არ შეუძლია. ამ შემთხვევაში, ბავშვი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ამოცანისათვის თავის გართმევას, მაგრამ სხვისი დახმარებით ადვილად წყვეტს მას. თუ უფროსმა ე. წ. „ხარაჩოები“ შეაშველა, ზოგიერთი ბავშვი წარმატებით მოახერხებს პრობლემის გადაჭრას. იმავე ასაკის სხვა ბავშვს შეიძლება ჯერ კიდევ არ ჰქონდეს ეს უნარი, ამიტომ უფროსის დახმარებითაც კი ის პრობლემურ სიტუაციას ვერ გაუმკლავდება. ეს ორი ბავშვი სწორედ „განვითარების უახლოესი ზონით“ განსხვავდება. დამოუკიდებლად ვერც ერთი ვერ წყვეტს პრობლემას, მაგრამ ერთი ბევრად უფრო წინაა, რადგან მას უფროსის დახმარებით შეუძლია პრობლემურ სიტუაციაში გარკვევა. ვიგოტსკის თეორიის მიხედვით, ეს ბავშვი „განვითარების უახლოეს ზონაში იმყოფება“. სწავლება ისე უნდა აიგოს, რომ გათვალისწინებული იყოს ბავშვის „განვითარების უახლოესი ზონა“, ანუ სწავლება ოდნავ წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას.

ბავშვის განვითარებასთან ერთად და უფროსთან ურთიერთობის პროცესში წამყვანი ხდება მეტყველება. მეტყველება ხდება როგორც საკუთარი მოქმედების დაგეგმვისა და რეგულაციის, ასევე სხვებზე ზემოქმედების იარაღი. პიაჟეს ცნობილ ინტერიორიზაციის, ანუ „გარეგანი მოქმედების გათავისების პროცესს“, ვიგოტსკის მიხედვით, მეტყველება უდევს საფუძვლად.

ვიგოტსკის თეორიაში ასევე მნიშვნელოვანია „უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციის“ ცნება. მისი საშუალებით ის ხსნის, თუ რა ფსიქოლოგიურ ცვლილებებსა და გარდაქმნებს იწვევს განვითარებაში მეტყველების დაუფლება და მისი იარაღად გამოყენება. ვიგოტსკის მიხედვით, უმაღლესი ფსიქიკური ფუნქცია (მაგ., მეტყველება) იმით განსხვავდება ელემენტარულისგან (მაგ., საკვების მიღება), რომ ის სოციალური ურთიერთობის საფუძველზეა შეძენილი.

ვიგოტსკის განვითარების სოციალურ-კულტურული თეორიის მიხედვით, მასწავლებელი ცოდნის გადამცემი, ხოლო მოსწავლე ცოდნის პასიური მიმღები არ არის, სწავლების პროცესი თანამშრომლობაა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, როდესაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. მასწავლებელი მოსწავლეთა „განვითარების უახლოესი ზონის“ გათვალისწინებით ინდივიდუალურ მიდგომას არჩევს, რათა დაეხმაროს მათ და ამით ხელს უწყობს მათი უნარების განვითარების სტიმულირებას. მოსწავლე სწავლობს უფროსთან და თანატოლებთან ინტერაქციის (ურთიერთობის) საფუძველზე. მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მათი განვითარების აქტუალური დონე, ასევე „განვითარების უახლოესი ზონაც“.

ვიგოტსკი საკუთარი თეორიის ასახსნელად ასეთ მაგალითს გვთავაზობს: ორი ბავშვის ინტელექტის ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ ორივე მათგანის გონებრივი განვითარება შეესაბამებოდა 7 წლის ასაკისათვის დამახასიათებელ დონეს. ერთი მათგანი მიმანიშნებელი კითხვებისა და თვალსაჩინო მასალების დახმარებით ადვილად ჭრიდა თავის აქტუალურ გონებრივ განვითარებაზე ორი წლით უფროსი ბავშვისთვის განკუთვნილ ტესტურ დავალებებს, ხოლო მეორე ბავშვი უფროსების ხელმძღვანელობითა და თვალსაჩინო მასალების გამოყენებით ახერხებდა გადაეჭრა თავისი განვითარების აქტუალურ დონესთან შედარებით მხოლოდ 6 თვით უფროსი ბავშვისთვის განკუთვნილი დავალებები. აქედან გამომდინარე, სწავლების დროს პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს, რა იციან ბავშვებმა, რა დონეზე არიან და რისი გაგებისა და შესწავლის შესაძლებლობა აქვთ მოცემული მომენტისათვის. ანუ, მათ უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეების განვითარების აქტუალური დონე და „განვითარების უახლოესი ზონა“.



### ჯონ დიუი
(1859-1952)

ჯონ დიუი – ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და განათლების რეფორმატორი. დიუი ამერიკული პრაგმატიზმის წარმომადგენელი და ინსტრუმენტალიზმის ფუძემდებელია. ის არის ავტორი ცნობილი ნაშრომისა „დემოკრატია და განათლება“ (1916). დიუი თვლიდა, რომ კარგი განათლება არის ის, რაც ეხმარება ადამიანს საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრად ჩამოყალიბებაში. დიუის არ შეუქმნია სწავლების თეორია, მაგრამ მისმა შეხედულებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განათლების მიზნისა და პრინციპების თანამედროვე მიდგომებზე.

დიუის მიხედვით, განათლების პრინციპები **გამოცდილების თეორიას** უნდა ეყრდნობოდეს. მისი გამოცდილების თეორიაში ორი ცენტრალური ცნებაა: 1. **უწყვეტობა,** რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი დაბადებიდან გამოცდილების მიღების საშუალებით სწავლობს, ეს კი გავლენას ახდენს მის შემდგომ ქცევაზე. უწყვეტობა გულისხმობს იმას, რომ წინა გამოცდილება ადამიანის შემდგომი გამოცდილებისა და ცოდნის განმაპირობებელია.

**2. ინტერაქცია** აღწერს და ხსნის იმას, თუ როგორ ურთიერთქმედებს წარსული გამოცდილება აწმყო სიტუაციაზე ახალი გამოცდილების შესამუშავებლად. დიუის ჰიპოთეზის მიხედვით, ჩვენი აწმყო გამოცდილება წარსული, შენახული გამოცდილების ფუნქციაა, რომელიც ზემოქმედებს მიმდინარე სიტუაციაზე და ახალი გამოცდილების საფუძველი ხდება.

შესაბამისად, სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წარსული გამოცდილების ცოდნა და მისი დაკავშირება ახალ მასალასთან. ამ გზით მასწავლებელი აზრიანს და მოსწავლისათვის მნიშვნელოვანს ხდის ახალ ინფორმაციას და ამით ხელს უწყობს მის ეფექტიან დასწავლას.

დიუის შეხედულებით, **ცოდნა** ობიექტის იმ კავშირების გაცნობიერებაა, რომლებიც მისი გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემს კონკრეტულ სიტუაციაში. **სწავლა** აქტიური პროცესია, რაც აუცილებლად პრაქტიკულ მოქმედებებს მოიცავს, რადგან სუბიექტი სწავლობს თავისი მოქმედებების საშუალებით. **სწავლება** კი აქტიური პროცესია, რომლის დროსაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს საკუთარ გამოცდილებასთან დააკავშიროს ახალი ცოდნა და გამოიყენოს ის შესაბამის სიტუაციაში.

დიუის შეხედულების მიხედვით, განათლების მიზანია არა მხოლოდ ფაქტების სწავლება და ცოდნის ათვისება, არამედ პიროვნების ცოდნისა და უნარების ინტეგრირება მისი მოქალაქედ და პიროვნებად ჩამოყალიბების მიზნით. დიუი თვლის, რომ სწავლება პრაქტიკული ელემენტის გარეშე არაეფექტიანია, ამიტომ „სწავლა კეთებით“ სწავლების მნიშვნელოვანი პრინციპი უნდა იყოს.

დიუის მიხედვით, სწავლება ეფექტიანია, თუ ძირითადი ყურადღება ექცევა პრობლემის გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებას და არა მასალის, ფაქტების დამახსოვრებას.

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოვლენილ იქნა სკოლის დირექტორთა მიერ ქრთამის აღების ფაქტები. დაკავებულები არიან გორის რაიონის სოფლების – ფლავისმანის, ნიქოზის, გარეჯვარის საჯარო სკოლების დირექტორები: გიორგი ქარელი, მარინე თარაშვილი, მიხეილ ბიბილაშვილი და გარეჯვარის სკოლის სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელი სოფიო ჩალაური.

ზემოაღნიშნული პირები, საჯარო სკოლების გათბობისთვის შეშით მომარაგების საკითხზე, დანაშაულებრივად გაურიგდნენ ერთ-ერთ ინდმეწარმეს. შეთანხმების თანახმად, ბრალდებულები მეწარმის საამქროდან შეიძენდნენ შეშას და სკოლის ანგარიშიდან პირად ანგარიშზე ჩაურიცხავდნენ შეშის ღირებულებაზე მეტი ოდენობის თანხას, შემდეგ ზედმეტად დარიცხული თანხის უკან დაბრუნება ქრთამის სახით მოხდებოდა.



სამართალდამცველებმა ბრალდებულები დანაშაულის ფაქტზე დააკავეს, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის ოდენობას გამოძიება დაადგენს. მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექცია აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ საქართველოში განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე არაკორუმპირებული იყოს. სამინისტრო არ დაუშვებს ბავშვებისთვის განკუთვნილი თანხების მითვისებას და ყველა, ვინც ეცდება კორუფციულ გარიგებაში შესვლას, მკაცრად დაისჯება.

გაცნობებთ, რომ წელს სამინისტრომ 40 მილიონი ლარით გაზარდა სკოლების ვაუჩერული დაფინანსება და არცერთი დანაკლისიანი სკოლა არ არსებობს. სკოლებს წინასწარ ეძლევათ კვარტალური დაფინანსება. ყველა სკოლას აქვს სახსრები, რომ უპრობლემოდ და გამართულად აწარმოოს სასწავლო პროცესი. სკოლების სამეურვეო საბჭოებს შეუძლიათ აქტიურად ჩაერთონ და გააკონტროლონ სკოლების ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი.

# სიახლე!

## „ახალი განათლების“ რედაქცია სასწავლო დაწესებულებებს სთავაზობს თემატურ პლაკატებს, რეპროდუქციებსა და ქართველ მწერალთა პორტრეტებს

### თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

### თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მზის სისტემა
11. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
12. საქართველოს სამეფო დინასტია
13. ძველი რომი
14. მსოფლიოს დროშები
15. ზღვის დინებები
16. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
17. სამყაროს წარმოშობა
18. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
19. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

### ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

**მწერალთა პორტრეტები** (34X47 სმ)

1. *ექვთიმე თაყაიშვილი - დამთავრდა*
2. მიხეილ ჯავახიშვილი
3. გიორგი ლეონიძე
4. ტერენტი გრანელი
5. ნიკო ლორთქიფანიძე
6. გრიგოლ რობაქიძე
7. ირაკლი აბაშიძე
8. *ლადო ასათიანი - დამთავრდა*
9. ნოდარ დუმბაძე
10. მირზა გელოვანი
11. აკაკი ბაქრაძე
12. ვასილ ბარნოვი
13. პაოლო იაშვილი
14. ტიციან ტაბიძე
15. სულხან-საბა ორბელიანი
16. *ნიკოლოზ ბარათაშვილი - დამთავრდა*
17. იოსებ გრიშაშვილი
18. პოლიკარპე კაკაბაძე
19. გურამ რჩეულიშვილი
20. იაკობ ხუცესი
21. იოანე საბანისძე
22. კონსტანტინე გამსახურდია
23. დავით გურამიშვილი
24. ბესიკი
25. მურმან ლებანიძე
26. რევაზ ინანიშვილი
27. ალექსანდრე ყაზბეგი
28. ალექსანდრე ჭავჭავაძე
29. *იაკობ გოგებაშვილი - დამთავრდა*
30. დავით კლდიაშვილი
31. აკაკი წერეთელი
32. რუსთაველი
33. ვაჟა-ფშაველა
34. თეიმურაზ I
35. ვახტანგ VI
36. გიორგი მერჩულე
37. ილია ჭავჭავაძე
38. გრიგოლ ორბელიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

### ხელოვნების კაბინეტისთვის

**რეპროდუქციები**

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. იმპრესიონისტების სურათები 10 დასახელება
3. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
4. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
5. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
6. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
7. მენინები - ველასკესი
8. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
9. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
10. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
11. საქანელა - რენუარი
12. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

გამოსაშვები გამოცდები

# 2011–2012 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების საგამოცდო პროგრამა

**საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 28 სექტემბრის №841 ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამას.**

## ქართული ენა და ლიტერატურა

### საგნობრივი უნარები

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| კითხვა ლიტერა-ტურისმცოდნე-ობითი საკითხები | 1. ტექსტის/შინაარსობრივად დასრულებული ეპიზოდის გაგება/გაანალიზება, წაკითხულის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ამ დამოკიდებულების ახსნა; | ქართ. VII.7; ქართ. VIII.5; ქართ. IX.6; ქართ. X.8; ქართ. X 9; ქართ. XII.7. |
| | 2. ტექსტის საფუძველზე პირდაპირი და არაპირდაპირი დასკვნების გაკეთება; | ქართ. VII.7; ქართ. VIII.5; ქართ. IX.6; ქართ. X.6; ქართ. X.7; ქართ. X.8; ქართ.X. 9. |
| | 3. ტექსტის მთავარი აზრის (იდეის) ამოცნობა/გაანალიზება; | ქართ. VII.7; ქართ. VII.8; ქართ. X.9. |
| | 4. ტექსტში ასახული ფაქტების, მოვლენების, შეფასებების იდენტიფიკაცია/გააზრება/გაანალიზება; | ქართ. VII.7; ქართ. VIII.5; ქართ. IX.6; ქართ. X.7; ქართ. X.8; ქართ. XII.5. |
| | 5. ტექსტში მოვლენათა თანამიმდევრობის გაგება, ინფორმაციის დახარისხება, მიზეზშედეგობრივი კავშირების ამოცნობა; | ქართ. X.7; ქართ. X.9. |
| | 6. ტექსტში ავტორის/პერსონაჟის პოზიციის ამოცნობა/გაანალიზება; | ქართ. VII.7; ქართ. IX.6; ქართ. X.7; ქართ. X.8. |
| | 7. ტექსტში სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის (ფაქტობრივის, კონცეპტუალურის, ქვეტექსტურის) იდენტიფიკაცია/ანალიზი/შეფასება; | ქართ. X.7. |
| | 8. სხვადასხვა ტიპის ტექსტში (მხატვრული, არამხატვრული) დასმული საკვანძო პრობლემური საკითხების იდენტიფიკაცია/ანალიზი/შეფასება; | ქართ. VIII.5; ქართ. IX.6; ქართ. X.8; ქართ. X.9; ქართ. XII.5; ქართ. XII.6. |
| | 9. სხვადასხვა ტიპის არამხატვრული ტექსტების მიზნების იდენტიფიკაცია; | ქართ. VII.8; ქართ. VIII.6. |
| | 10. ლექსიკური ერთეულის, ფრაზის, მყარი შესიტყვების, ფრაზეოლოგიზმის გაგება-გააზრება; | ქართ. VII.9. |
| | 11. სიტყვის, ფრაზის მნიშვნელობის გაგება კონტექსტის მიხედვით; | ქართ. VII.10 ; ქართ. X.10; ქართ. XI.8. |
| | 12. ლექსიკონის, სქოლიოს, შენიშვნის, კომენტარის გაგება და ტექსტთან ფუნქციური თვალსაზრისით ადეკვატურად დაკავშირება; | ქართ. VII.10; ქართ. IX.8; ქართ. XI.8; ქართ. XII.10. |
| | 13. ავტორის, პერსონაჟთა ენის, დიალექტური მეტყველების, ჟარგონის გაგება; | ქართ. VII.8; ქართ. VIII.8; ქართ. IX.7; ქართ. X.6; ქართ. X.9; ქართ. XII.9. |
| | 14. ტექსტში გამოყენებული ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების გაგება/გააზრება და მათი ფუნქციის განსაზღვრა-გაანალიზება; | ქართ. VII.9; ქართ. VIII.8; ქართ. IX.7; ქართ. X.9; ქართ. XI.7; ქართ. XII.8. |
| | 15. ტექსტის ფორმის, სტრუქტურის გაგება; | ქართ. VII.9; ქართ. VIII.6; ქართ. IX.7; ქართ. X.6. |
| | 16. პერსონაჟთა ხატვის ხერხების ამოცნობა/გააზრება; | ქართ. VII.8; ქართ. VIII.6; ქართ. VIII.8. |
| | 17. მხატვრული ტექსტების გაანალიზება ჟანრული მახასიათებლებისა და კომპოზიციური თავისებურებების მიხედვით. ქართული ლიტერატურის ძირითადი ეტაპების, ლიტერატურული მიმდინარეობების შესახებ მსჯელობა, მათთვის დამახასიათებელი ნიშნების ამოცნობა, ამა თუ იმ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი პრობლემატიკის, კონცეპტუალური ხედვის შესახებ საუბარი. | ქართ. VII.8; ქართ. X.6; ქართ. X.9; ქართ. XI.6. |

### საგნობრივი ცოდნა

**პროგრამის შინაარსი**

- ქართული სალიტერატურო ენა და მისი განვითარების საფეხურები;
- სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები, ბარბარიზმები; მყარი შესიტყვებები; წარმოქმნილი და ძირეული სიტყვები; მარტივი და რთული სიტყვები;
- სტილის რაობა; სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით; პარონიმები, სტილისტური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია (სიტყვის გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით).
- მორფოლოგია: მეტყველების ნაწილები, მათი წარმოებისა და ფორმაცვალების ძირითადი საკითხები.
- სინტაქსი: წინადადება; სინტაქსური ურთიერთობის სახეები; წინადადების სახეები;

წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; წინადადებების კლასიფიკაცია შინაარსისა და აგებულების მიხედვით;

მარტივი შერწყმული წინადადება და რთული წინადადება; თანწყობა და ქვეწყობა;

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი;

- მართლწერის საკითხები.
- სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

**ტექსტები:**

1. იაკობ ხუცესი - „შუშანიკის წამება“.
2. იოვანე საბანისძე - „აბო თბილელის წამება“.
3. გიორგი მერჩულე - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
4. შოთა რუსთველი - „ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა ნ. ნათაძისა): „დასაწყისი“, „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“, „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“, „თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“, „ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან“, „შეყრა ტარიელისა და ავთანდილისა“, „ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, ოდეს ავთანდილს უამბო“, „ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა, პირველ რომ გამიჯნურდა“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი“, „წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი“, „წიგნი ტარიელისა ხატაელთა თანა და კაცის გაგზავნა“, „ნესტანისაგან ტარიელის ხმობა“, „წიგნი ხატაელთა მეფისა, ტარიელის წინაშე მოწერილი“, „ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეყრა“, „ტარიელისაგან ხატაეთს წასლვა და დიდი ომი“, „წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი“, „წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი“, „რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა“, „ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირი და გამორჩევა“, „ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსლვა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკლვა“, „ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა“, „ამბავი ნურადინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელ შეეყარა“, „ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“, „ამბავი ავთანდილის არაბეთს შექცევისა“, „დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვაზირის საუბარი“, „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა“, „ლოცვა ავთანდილისა“, „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“, „მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცვისა“, „ამბავი ავთანდილისაგან გულანშაროს მისლვისა“, „ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“, „ამბავი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა“, „წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“, „წიგნი ავთანდილისა ფრიდონთან მიწერილი“, „თათბირი ნურადინ-ფრიდონისა“, „თათბირი ავთანდილისა“, „თათბირი ტარიელისა“, „დასასრული“.
5. სულხან-საბა ორბელიანი - „სიბრძნე-სიცრუისა“: დასაწყისი (სიტყვებამდე: „...და შვილისა სიმწარემან აღმაშფოთა“), სასახლეში ჯუმბერის მისვლის ეპიზოდი („მოახსენა ლეონ... ქვა და ოქრო სწორია კაცთათვის“); იგავ-არაკები: „მეფე და მხატვარი“, „მოძღვარი მელი“, „უსამართლო შირვან-შაჰ“, „მაოხრებელი მკვდარი“, „ორმოში ჩაგდებული მეფე“, „თვალხილული და უსინათლო“, „კუ და მორიელი“, „კაცი და გველი“, „კეთილი გველი“, „გლახა და მდიდარი“, „მოხერხებული არაბი“, „აქლემი და ვირი“, „მოტირალი და მოცინარი“, „მეფე და მისი შვილი“.
6. დავით გურამიშვილი - „დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“ (ბოლო ექვსი სტროფი), „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება“, „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შვეღა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“, „მეფის ვახტანგის ამიერ სოფლით მიცვლა და ქართველთ თავადთა და აზნაურთა რუსთ ხელმწიფის სამსახურში განწესება“, „საფლავის ქვაზედ დასაწერი“.
7. გრიგოლ ორბელიანი - ლექსი: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.
8. ნიკოლოზ ბარათაშვილი - ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოო...“, „მერანი“, „რად ჰყვედრი კაცსა...“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“; პოემა „ბედი ქართლისა“.
9. ილია ჭავჭავაძე - ლექსები: „ბედნიერი ერი“, „პოეტი“, „ჩემო კალამო“; პოემები: „განდეგილი“, „აჩრდილი“ - VII თავი; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“
10. აკაკი წერეთელი - ლექსები: „განთიადი“, „პოეტი“, „რაც არ იწვის, არ ანათებს“; პოემა „გამზრდელი“.
11. ალექსანდრე ყაზბეგი – მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.
12. ვაჟა-ფშაველა - ლექსები: „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „სოფლისა წესი ასეა“, „ღამე მთაში“, „ბევრი ვიფიქრე ძალიან...“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“, „სინდისი“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
13. დავით კლდიაშვილი - მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
14. ნიკო ლორთქიფანიძე - მოთხრობები: „შელოცვა რადიოთი“, „თავსაფრიანი დედაკაცი“.
15. ლეო ქიაჩელი - მოთხრობა „ჰაკი აძბა“.
16. კონსტანტინე გამსახურდია - რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
17. მიხეილ ჯავახიშვილი - რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
18. გალაკტიონ ტაბიძე - ლექსები: „ბავშვები კაფეში“, „თოვლი“, „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“.
19. ტიციან ტაბიძე - ლექსები: „მეწყერი მეწყერს“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“.
20. პაოლო იაშვილი - ლექსი „წერილი დედას“.
21. ვალერიან გაფრინდაშვილი - ლექსები: „პროვინციალური გაზაფხული“, „სანტიმენტალური ტრიოლეტი“.
22. კოლაუ ნადირაძე - ლექსი „25 თებერვალი, 1921 წელი“.
23. გიორგი ლეონიძე - ლექსები: „მეცამეტე საუკუნე“, „ყივჩაღის პაემანი“.
24. გურამ რჩეულიშვილი - მოთხრობები: „ნელი ტანგო“, „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“.
25. ანა კალანდაძე - ლექსები: „ლაჰილზე ისევ...“, „ფეხი დამადგით...“
26. რევაზ ინანიშვილი - „სამი ნოველა“.
27. ოთარ ჭილაძე - ლექსი „როდესაც ასე ახლოა გრემი“; ნაწყვეტი რომანიდან „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ (XII კლასის სახელმძღვანელოში მოცემული ეპიზოდი).
28. ჯემალ ქარჩხაძე - მოთხრობა „იგი“.
29. გურამ დოჩანაშვილი - მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.
30. ნუგზარ შატაიძე - მოთხრობა „კაპიკი გაკაპიკებულა, ანუ ევროპაში რა მინდოდა“.
31. ბესიკ ხარანაული - ლექსები: „ხეები“, „სად არიან შვილები, შვილები სად არიან“.

## გამოსაშვები გამოცდები

# ქართული როგორც მეორე ენა

## საგნობრივი უნარები

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება |
|---|---|
| 1. **პრაგმატული** ხასიათის სხვადასხვა ტიპის მოკლე ტექსტების გაგება. | 1.1. საკომუნიკაციო სიტუაციის ამოცნობას *(ავტორი, ადრესატი, კორესპონდენციის მიზანი - მილოცვა, მოწვევა, მადლობის გამოხატვა, შეთავაზება, შთაბეჭდილებების გაზიარება, ახსნა-განმარტება, თხოვნა, მოთხოვნა, გაფრთხილება, რეკომენდაცია/რჩევა და სხვა);*<br>1.2. სათანადო კონკრეტული ფაქტობრივი ინფორმაციის *(სად, რა, როდის, რამდენი, რატომ და სხვა)* ამოკრებას;<br>1.3. რესპონდენტის ემოციების, დამოკიდებულებების, შეფასებებისა და თვალსაზრისების გაგებას;<br>1.4. ცალკეული მოქმედებებისა და მათი თანმიმდევრობის ამოცნობას *(მაგ., როგორ მივიდეს დანიშნულების ადგილამდე).* |
| 2. სხვადასხვა თემაზე შექმნილი **შემეცნებითი** ტექსტების გაგება და გაანალიზება | 2.1. მთავარი თემის/საკითხების გამოკვეთას;<br>2.2. ტექსტის ზედაპირზე მოცემული ფაქტობრივი ინფორმაციის ამოცნობას (მაგ., მოქმედების დრო, ადგილი და სხვა);<br>2.3. ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირების (ლოგიკური, ქრონოლოგიური) დადგენას;<br>2.4. ინფორმაციის ამოკრებას კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით *(მაგ., მსგავსება-განსხვავება და სხვა);*<br>2.5. ფაქტის გამიჯვნას ვარაუდისაგან, შეფასებისაგან. |
| 3. **ბიოგრაფიული** ხასიათის ტექსტების გაგება | 3.1. მოვლენათა დროისა და ადგილის განსაზღვრას;<br>3.2. ამბის მთხრობელის, პერსონაჟების ამოცნობას;<br>3.3. ტექსტის ზედაპირზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით;<br>3.4. პიროვნების დახასიათებას;<br>3.5. პიროვნების მოღვაწეობის სფეროების დახასიათებას;<br>3.6. მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენას. |
| 4. **თხრობითი** ხასიათის მხატვრული ტექსტების გაგება და გაანალიზება | 4.1. ტექსტის/მისი ცალკეული მონაკვეთის ზოგადი შინაარსის ამოცნობას *(მაგ., კონკრეტული ინფორმაციის - ვინ, რა, სად, რატომ, რა მიზნით და სხვა - დასახელებას)*;<br>4.2. მთხრობელის, პერსონაჟების ამოცნობას;<br>4.3. მოვლენათა თანმიმდევრობის ამოცნობას;<br>4.4. პერსონაჟთა საქციელის მოტივის ახსნას და შეფასებას;<br>4.5. დამოკიდებულებებისა და ინტერესების ამოცნობას;<br>4.6. როგორც ტექსტის ზედაპირზე მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ისე შინაარსის გააზრების საფუძველზე პერსონაჟთა დახასიათებას და მათ შორის არსებული ურთიერთობების შესახებ დასკვნების გამოტანას;<br>4.7. სიუჟეტის განვითარების საფეხურების *(დასაწყისი, ამბის მსვლელობა, დასასრული)* გამოყოფას;<br>4.8. ნაწარმოების ძირითადი თემის ამოცნობას. |
| 5. **საგაზეთო** პუბლიკაციების გაგება | 5.1. საკომუნიკაციო სიტუაციის (კორესპონდენტი/რესპონდენტი, ავტორი/ადრესატი, პუბლიკაციის მიზანი, კონტექსტი) ამოცნობას;<br>5.2. მთავარი საკითხის/პრობლემატიკის განსაზღვრას;<br>5.3. შეფასებების, თვალსაზრისების ამოცნობას;<br>5.4. ფაქტების/მოვლენების დაკავშირებას სათანადო თვალსაზრისებთან. |

## საგნობრივი ცოდნა

**მორფოლოგია / სინტაქსი**

1. არსებითი სახელი:
- სახელის ბრუნება და კონკრეტული ბრუნვის ფუნქციები წინადადებაში;
- სახელის რიცხვი (-ებ-იანი მრავლობითი);
- სახელის კუმშვა და კვეცა;
- აბსტრაქტული სახელები (წარმოება, ფუნქცია - ექიმი - ექიმობა).

2. ზედსართავი სახელი:
- ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავები (წარმოება და ფუნქცია წინადადებაში);
- შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება;
- მართულმსაზღვრელიანი სახელის ბრუნება.

3. რიცხვითი სახელი:
- რაოდენობითი და რიგობითი (წარმოება და ფუნქცია).

4. ნაცვალსახელი: პირის, ჩვენებითი (ის - ეს ოპოზიცია), კუთვნილებითი, კითხვითი.

5. ზმნა:
- პირისა და რიცხვის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნაში (ვწერ... / მაქვს...);
- მარტივი და რთული ზმნისწინები და მათი ფუნქციები (მიმართულება);
- მწკრივები (აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, მყოფადი, II კავშირებითი);
- ბრძანებითის გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი);
- ქცევა (სათავისო, საარვისო, სასხვისო);
- თავისებური ზმნები (პირნაკლი, ფუძემონაცვლე, რიცხვში/მწკრივში მონაცვლე, ფუძედრეკადი);
- მაქვს თუ მყავს?

6. ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების).

7. საწყისი და მიმღეობა (წარმოება და ფუნქციები).

8. თანდებული (შერწყმული და ცალკე მდგომი);
- ფუნქციები (ადგილი, კუთვნილება, მიზეზი, დრო (გაზაფხულზე, ზამთარში...), დროში სიხშირის განსაზღვრა - დან-მდე).

9. კავშირი (მაგრამ; იმიტომ, რომ; ვინც).

10. ნაწილაკი (არ, ნუ).

11. წინადადების ტიპები შინაარსის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი).

12. შეთანხმება, როგორც სინტაქსური ურთიერთობის სახე:
- მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში (ჩვენს კლასს, ათი სტუმარი...);
- სახელისა და ზმნის შეთანხმება რიცხვში (ბავშვები დგანან, მაგრამ მერხები დგას, ბევრი/ათი სტუმარი მოვიდა...);

13. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით (მარტივი, შერწყმული და რთული).

14. დამოკიდებული წინადადებების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში (ქვემდებარული, მიზეზის გარემოებითი).

**ორთოგრაფია / პუნქტუაცია**

1. მიმართვის ფორმები საკუთარ და საზოგადო სახელებთან და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები;

2. ერთი და იმავე თანხმოვანთა თავმოყრა: კლასს, ქათამმა...;

3. თანდებულიანი სახელების მართლწერა (მერხთან, მაგრამ მაგიდასთან; თბილისში, ჯაზზე...);

4. კომპოზიტების მართლწერა;

5. სასვენი ნიშნების ხმარება:
- პირდაპირ და ირიბ ნათქვამში;
- მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებებში.

**ლექსიკა**

1. კომპოზიტები (კეთილი გული - გულკეთილი, წითელი კაბა - წითელკაბიანი... დედაჩემი, მაგრამ ჩემი ძმა);

2. სიტყვაწარმოება (როგორც ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალება);

3. სიტყვათშეხამება (მაგ., სუსტი ქარი, მაგრამ მცირე წვიმა);

4. სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები.

------------------------------

*2011-2012 წლის გამოსაშვები გამოცდების საგამოცდო პროგრამა ეფუძნება 2005 წლიდან მოქმედ შემდეგ სახელმძღვანელოებს:*

*"თავთავი 1" (სახელმძღვანელო საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისათვის, I დონე, საქ. მაცნე, 2005 წ.);*

*"თავთავი 2" (სახელმძღვანელო საქართველოს არაქართულენოვანი სკოლებისათვის, II დონე, საქ. მაცნე, 2006 წ.).*

# ფიზიკა

## საგნობრივი უნარები

**მოსწავლეს უნდა შეეძლოს:**

1. საკითხის ცოდნის, გაგების და გამოყენების დემონსტრირება
- ძირითადი ცნებების, ფაქტების, კანონების ცოდნა, შესაბამისი ტერმინოლოგიით ახსნა - განმარტება, მათი ადეკვატური და პრაქტიკული გამოყენება

2. მონაცემების წაკითხვა და ორგანიზება
- სხვადასხვა ტექსტიდან, ნახატიდან, გრაფიკიდან, სქემიდან, ცხრილიდან და დიაგრამიდან საჭირო ინფორმაციის წაკითხვა
- მონაცემების გადაყვანა ერთი სახიდან მეორეში (მაგ. ცხრილების გრაფიკებში და სხვა)

3. მონაცემების ანალიზი და შეფასება
- ფიზიკურ სიდიდეებს შორის ზოგადი კანონზომიერებებისა და რაოდენობრივი კავშირების დადგენა
- მონაცემთა ინტერპრეტაცია, ანალიზი და დასკვნის გამოტანა
- მონაცემთა კლასიფიცირება
- მოვლენათა მიზეზების ახსნა. მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა

4. პრობლემის გადაჭრა
- პრობლემის გადაჭრის გზების შერჩევა
- პრობლემის გადაჭრის ეტაპების განსაზღვრა
- პრობლემის გადაჭრა.

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| **1. კინემატიკა** | მექანიკური მოძრაობა. გადატანითი და ბრუნვითი მოძრაობა. ნივთიერი წერტილი. ათვლის სხეული, ტრაექტორია. გავლილი მანძილი. გადაადგილება. სკალარული და ვექტორული სიდიდეები. მდებარეობისა და მოძრაობის ფარდობითობა. წრფივი თანაბარი მოძრაობა. სიჩქარე, სიჩქარის ერთეულები. გავლილი მანძილის, დროისა და სიჩქარის გამოსათვლელი ფორმულები. მანძილისა და სიჩქარის დროზე დამოკიდებულების გრაფიკები. ერთი წრფის გასწვრივ მოძრავი სხეულების სიჩქარეთა შეკრების წესი. წრფივი არათანაბარი მოძრაობა. მყისი სიჩქარე. საშუალო სიჩქარე. წრფივი თანაბარაჩქარებული მოძრაობა. აჩქარება, მისი ერთეული. აჩქარების, სიჩქარისა და გადაადგილების დროზე დამოკიდებულების ფორმულები. სიჩქარისა და აჩქარების დროზე დამოკიდებულების გრაფიკები. თანაბარი მოძრაობა, წრეწირზე ბრუნვის პერიოდი და სიხშირე. | ბუნ.VII.5<br>ბუნ.VIII.5<br>ბუნ.VIII.6 |

→ 6

## გამოსაშვები გამოცდები

# ფიზიკა

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| **2. ნიუტონის კანონები და ბუნების ძალები** | ნიუტონის I კანონი. სხეულების ინერტულობა. მასა.<br>მასის ერთეული. სიმკვრივე. სიმკვრივის ერთეული.<br>ათვლის ინერციული სისტემები.<br>სხეულის ურთიერთქმედება. ძალა. ნიუტონის II კანონი ძალის ერთეული. ტოლქმედი ძალა. ერთი წრფის გასწვრივ მიმართული ძალების შეკრება.<br>ნიუტონის III კანონი.<br>მსოფლიო მიზიდულობის კანონი. გრავიტაციული მუდმივა. სიმძიმის ძალა. სხეულთა თავისუფალი ვარდნა. თავისუფალი ვარდნის აჩქარება.<br>დრეკადობის ძალა სიხისტე. ჰუკის კანონი.<br>უძრაობის ხახუნის ძალა. სრიალის ხახუნის ძალა.<br>ხახუნის კოეფიციენტი. | ბუნ.VII.7<br>ბუნ.VIII.6 |
| **3. მუდმივობის კანონები მექანიკაში** | სხეულის იმპულსი. იმპულსის ერთეული.<br>იმპულსის მუდმივობის კანონი.<br>მექანიკური მუშაობა და სიმძლავრე. მათი ერთეულები.<br>მექანიკური ენერგია. კინეტიკური ენერგია.<br>სხეულისა და დედამიწის ურთერთქმედების პოტენციური ენერგია.<br>დრეკადად დეფორმირებული სხეულის პოტენციური ენერგია.<br>მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონი.<br>პოტენციური და კინეტიკური ენერგიის ურთიერთგარდაქმნა. | ბუნ.VIII.6<br>ბუნ.IX.5<br>ბუნ.IX.6 |
| **4. სტატიკა** | ძალის მომენტი, სიმძიმის ცენტრი, წონასწორობის სახეები, უძრავი ბრუნვის ღერძის მქონე სხეულის წონასწორობის პირობა.<br>მარტივი მექანიზმები ბერკეტი. ჭოჭონაქი.<br>დახრილი სიბრტყე. | ბუნ.VIII.7 |
| **5. ჰიდრო და აეროსტატიკა** | წნევა. წნევის ერთეულები. სითხის წნევა ჭურჭლის ფსკერსა და კედლებზე. წნევის ფორმულა.<br>პასკალის კანონი. ზიარი ჭურჭელი.<br>ატმოსფერული წნევა. ნორმალური ატმოსფერული წნევა.<br>არქიმედეს ძალის ფორმულა. სხეულთა ცურვის პირობები. | ბუნ.VII.8 |
| **6. მექანიკური რხევები და ტალღები** | რხევითი მოძრაობა. ამპლიტუდა. რხევის პერიოდი და სიხშირე. მათი ერთეულები. მექანიკური ტალღები. კავშირი ტალღის სიგრძეს, გავრცელების სიჩქარესა და სიხშირეს შორის. განივი და გრძივი ტალღები. ბგერითი ტალღა. ბგერის სიჩქარე სხვადასხვა გარემოში. ბგერის ხმამაღლობა და ტონის სიმაღლე. ექო. | ბუნ.IX.8 |

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| **7. გეომეტრიული ოპტიკა** | სინათლის გავრცელება ერთგავროვან გარემოში.<br>ჩრდილის წარმოქმნა. სინათლის წერტილოვანი წყაროები.<br>სინათლის არეკვლა. არეკვლის კანონები.<br>გამოსახულების აგება ბრტყელ სარკეში. სარკული და დიფუზური არეკვლა.<br>სინათლის გარდატეხა. გარდატეხის კანონები.<br>გარდატეხის მაჩვენებელი. მისი კავშირი გარემოში სინათლის გავრცელების სიჩქარესთან. სინათლის დისპერსია, სპექტრი. | ბუნ.IX.9 |
| **8. სითბური მოვლენები** | ნივთიერების აგებულება. მოლეკულების ურთიერთქმედება. მოლეკულების სითბური მოძრაობა. ტემპერატურა. კელვინის და ცელსიუსის სკალები. კავშირი მათ შორის. აბსოლუტური ტემპერატურა. აირების, სითხეების და მყარი სხეულის აგებულება. დიფუზია. ბროუნის მოძრაობა.<br>შინაგანი ენერგია და მისი შეცვლის გზები.<br>თბოგადაცემის სახეები (თბოგამტარობა, კონვექცია, გამოსხივება). სითბოს რაოდენობა, მისი ფორმულა და ერთეულები. კუთრი სითბოტევადობა. მისი ერთეული.<br>საწვავის წვის კუთრი სითბო. მისი ერთეული.<br>მყარი სხეულების დნობა და გამყარება. დნობის კუთრი სითბო, მისი ერთეული. კრისტალური სხეულის დნობის გრაფიკი. აორთქლება და კონდენსაცია. ორთქლადქცევის კუთრი სითბო, მისი ერთეული. დუღილი. | ბუნ.VII.6<br>ბუნ.IX.7 |
| **9. ელექტრული მოვლენები** | ელ. მუხტი. მუხტის მუდმივობის კანონი. მუხტების<br>ურთიერთქმედება. მუხტის ერთეული. კულონის კანონი.<br>ელექტრული დენი. დენის ძალა, მისი ერთეული.<br>ომის კანონი წრედის უბნისათვის. ძაბვა. მისი ერთეული. გამტარის წინაღობა. მისი ერთეული.<br>გამტარის წინაღობის დამოკიდებულება მის გეომეტრიულ ზომებსა და გვარობაზე. კუთრი წინაღობა. გამტართა პარალელური და მიმდევრობითი შეერთება. დენისა და ძაბვის გაზომვა. ამპერმეტრი და ვოლტმეტრი. მათი წრედში ჩართვის წესები.<br>ელექტრული წრედისა და მისი ელემენტების სქემური გამოსახვა. წრედის შედგენა მოცემული ელემენტების გამოყენებით.<br>დენის მუშაობა და სიმძლავრე. მათი ერთეულები.<br>ჯოულ-ლენცის კანონი. | ბუნ.VIII.8<br>ბუნ.VIII.9<br>ფიზ. X.1 |

# ისტორია

## საგნობრივი უნარები:

**მოსწავლეს უნდა შეეძლოს:**

1. ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენება;
2. ისტორიული ცნებების, ტერმინების ცოდნა და მათი გამოყენება;
3. ისტორიული მოვლენების და პროცესების დამახასიათებელი არსებითი ნიშნების გამოვლენა;
4. ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა;
5. დროსა და სივრცეში ორიენტაციის უნარი.

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| **1) არქეოლოგიური პერიოდები საქართველოში** | ▪ ბრინჯაოს ხანა საქართველოში | ისტ. XI . 1.<br>ისტ. XI . 2.<br>ისტ. XI . 5.<br>ისტ. XI . 6. |
| **2) დიაოხი და კოლხა** | ▪ უძველესი ქართული სამეფოების ურთიერთობა ასურეთსა და ურარტუსთან | ისტ. XI . 2.<br>ისტ. XI . 4. |
| **3) დიდი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთი** | ▪ ბერძნული ახალშენები საქართველოს ტერიტორიაზე | ისტ. XI. 1.<br>ისტ. XI. 2.<br>ისტ. XI . 3.<br>ისტ. XI . 6.<br>ისტ. XI . 7. |
| **4) ელინიზმის ეპოქა და ქართლის სამეფოს წარმოქმნა** | ▪ ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობები<br>▪ ფარნავაზის გამეფება<br>▪ ფარნავაზის რეფორმები | ისტ. XI . 4.<br>ისტ. XI . 5.<br>ისტ. XI . 6.<br>ისტ. XI . 7. |
| **5) რომი და საქართველო** | ▪ პომპეუსის ლაშქრობა ქართლში<br>▪ ფარსმან ქველი<br>▪ კონსტანტინე დიდი<br>▪ იმპერიის ორად გაყოფა და დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა | ისტ. XI . 1.<br>ისტ. XI . 3.<br>ისტ. XI . 4. |

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| **6) ქართლის გაქრისტიანება** | ▪ წმინდა ნინოს მოღვაწეობა<br>▪ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება | ისტ. XI . 3.<br>ისტ. XI . 4.<br>ისტ. XI . 5.<br>ისტ. XI . 6.<br>ისტ. XI . 7. |
| **7) ვახტანგ გორგასალი** | ▪ საგარეო პოლიტიკა<br>▪ საეკლესიო რეფორმა | ისტ. XI . 6.<br>ისტ. XI . 4. |
| **8) სასანიანთა ირანი და ბიზანტია VI საუკუნეში, "დიდი ომიანობა" ეგრისში** | ▪ ირანისა და ბიზანტიის დაპირისპირება VI საუკუნეში<br>▪ "დიდი ომიანობა" ეგრისში | ისტ. XI. 4. |
| **9) არაბები**<br>**10) არაბობა საქართველოში** | ▪ არაბთა დაპყრობები<br>▪ არაბული კულტურა<br>▪ ჰაბიბ-იბნ მასლამა და "დაცვის სიგელი"<br>▪ მურვან ყრუს ლაშქრობა | ისტ. XI .1.<br>ისტ. XI .3.<br>ისტ. XI .7.<br>ისტ. XI. 4. |
| **11) ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნა** | ▪ ტაო-კლარჯეთი<br>▪ აფხაზეთი<br>▪ კახეთი | ისტ. XI .1.<br>ისტ. XI . 3.<br>ისტ. XI . 4. |
| **12) ჯვაროსნული ეპოქა (მიზეზები, I და IV ლაშქრობა)** | ▪ ჯვაროსნული ლაშქრობების გამომწვევი მიზეზები<br>▪ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა<br>▪ მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა | ისტ. XI . 1.<br>ისტ. XI . 2<br>ისტ. XI . 4. |
| **13) თურქ-სელჩუკები საქართველოში** | ▪ სელჩუკთა პირველი ლაშქრობები საქართველოში<br>▪ ("დიდი თურქობა”) | ისტ XI . 1.<br>ისტ. XI . 4. |

→ 7

**გამოსაშვები გამოცდები**

# ისტორია

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| **14) დავით აღმაშენებელი** | ▪ დავითის საშინაო პოლიტიკა<br>▪ დიდგორის ბრძოლა | ისტ XI . 4.<br>ისტ. XI . 6. |
| **15) თამარის ეპოქა** | ▪ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა<br>▪ ბასიანის ბრძოლა;<br>▪ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება | ისტ. XI . 4. |
| **16) მონღოლების იმპერია** | ▪ მონღოლთა ლაშქრობები<br>▪ მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა | ისტ. XI. 1.<br>ისტ. XI. 4.<br>ისტ. XI . 7. |
| **17) გიორგი V ბრწყინვალე** | ▪ საქართველოს ერთიანობის აღდგენა<br>▪ ურთიერთობა ეგვიპტესა და რომის პაპთან | ისტ. XI. 4. |
| **18) საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად; ბიზანტიის დაცემა** | ▪ ერთიანი საქართველოს დაშლა<br>▪ ბიზანტიის დაცემა და მისი მნიშვნელობა | ისტ. XI.1.<br>ისტ. XI.3.<br>ისტ. XI .4. |
| **19) დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები** | ▪ კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა<br>▪ მაგელანის მოგზაურობა დედამიწის გარშემო | ისტ. XI.1.<br>ისტ. XI . 2.<br>ისტ. XI . 3. |
| **20) ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ XVI საუკუნეში** | ▪ ლუარსაბ I<br>▪ სვიმონ I | ისტ. XI. 4. |
| **21) შაჰ-აბას I-ის ლაშქრობები აღმოსავლეთ საქართველოში** | ▪ შაჰ-აბას I-ის ლაშქრობები კახეთსა და ქართლში | ისტ. XI. 4. |
| **22) აღორძინება და ჰუმანიზმი ევროპაში** | ▪ აღორძინება (რენესანსი)<br>▪ ჰუმანიზმის გავრცელება ევროპაში | ისტ. XI. 5.<br>ისტ. XI. 6. |
| **23) რეფორმაცია** | ▪ ერაზმ როტერდამელი<br>▪ მარტინ ლუთერი | ისტ. XI. 5.<br>ისტ. XI . 6. |
| **24) საფრანგეთის რევოლუცია** | ▪ განმანათლებლობა<br>▪ რევოლუციის მიზეზები<br>▪ რესპუბლიკის დამყარება<br>▪ იაკობინელთა დიქტატურა<br>▪ 9 თერმიდორის გადატრიალება | ისტ. XI. 3.<br>ისტ. XI. 5. |
| **25) ვახტანგ VI** | ▪ ვახტანგის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა<br>▪ ურთიერთობა რუსეთთან | ისტ. XI . 4.<br>ისტ. XI . 7. |
| **26) აშშ-ის ჩამოყალიბება** | ▪ კონტინენტური კონგრესები<br>▪ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის<br>▪ დამოუკიდებლობის გამოცხადება | ისტ. XI . 5.<br>ისტ. XI . 3. |
| **27) ერეკლე II** | ▪ გეორგიევსკის ტრაქტატი | ისტ. XI . 4 |
| **28) რუსეთის მიერ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების დაპყრობა** | ▪ რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება<br>▪ რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს გაუქმება | ისტ. XI. 4.<br>ისტ. XI . 3. |
| **29) ნაპოლეონის ეპოქა** | ▪ 18 ბრიუმერის გადატრიალება<br>▪ აუსტერლიცის ბრძოლა<br>▪ კონტინენტური ბლოკადა<br>▪ ლაშქრობა რუსეთში<br>▪ ლაიპციგისა და ვატერლოოს ბრძოლები | ისტ. XI .1.<br>ისტ. XI .3. |
| **30) რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომები XIX ს-ში და საქართველო** | ▪ რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო XIX ს-ში<br>▪ რუსეთ-ირანის ომები და საქართველო XIX ს-ში | ისტ. XI. 4. |
| **31) თერგდალეულები** | ▪ ილია და თერგდალეულების მოღვაწეობა | ისტ. XI . 4.<br>ისტ. XI . 5.<br>ისტ. XI. 7. |
| **32) I მსოფლიო ომი და ვერსალის კონფერენცია** | ▪ სამხედრო ბლოკების შექმნა<br>▪ ომის გამომწვევი მიზეზები<br>▪ ომის მიმდინარეობა<br>▪ ომის შედეგები<br>▪ ვერსალის კონფერენცია და მისი მნიშვნელობა | ისტ. XI I. 1.<br>ისტ. XI I. 3.<br>ისტ. XI I . 5. |
| **33) საქართველო 1918-1921 წლებში** | ▪ დამოუკიდებლობის გამოცხადება<br>▪ ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის<br>▪ საგარეო პოლიტიკა<br>▪ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია | ისტ. XI I . 3.<br>ისტ. XI I . 4.<br>ისტ. XI I. 5. |
| **34) საბჭოთა კავშირი, აშშ და ევროპა I და II მსოფლიო ომებს შორის** | ▪ საბჭოთა კავშირის შექმნა და 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყება საქართველოში<br>▪ აშშ I და II მსოფლიო ომებს შორის<br>▪ გერმანია, იტალია, ესპანეთი I და II მსოფლიო ომებს შორის | ისტ. XI I . 1.<br>ისტ. XI I. 3.<br>ისტ. XI I . 4.<br>ისტ. XI I. 5. |
| **35) II მსოფლიო ომი** | ▪ გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე<br>▪ სსრკ-ს მიერ ბალტიის რესპუბლიკებისა და დასავლეთ უკრაინის ოკუპაცია<br>▪ "უცნაური ომი"<br>▪ გერმანიის თავდასხმა სსრკ-ზე<br>▪ იაპონიის თავდასხმა პერლ-ჰარბორზე<br>▪ სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლები<br>▪ ოპერაცია "ოვერლორდი"<br>▪ გერმანიის კაპიტულაცია<br>▪ თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციები<br>▪ იაპონიის კაპიტულაცია | ისტ. XI I. 1.<br>ისტ. XI I. 5. |
| **36) მსოფლიო II მსოფლიო ომის შემდეგ** | ▪ "ცივი ომი" და მისი მიზეზები<br>▪ კორეისა და ვიეტნამის ომები<br>▪ NATO-სა და "ვარშავის ხელშეკრულების" ბლოკის შექმნა<br>▪ "კარიბის კრიზისი"<br>▪ სსრკ-ის ინტერვენცია ავღანეთში<br>▪ 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები საქართველოში<br>▪ სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის დაშლა | ისტ. XI I. 5. |
| **37) საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა** | ▪ 1990 წლის არჩევნები<br>▪ დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს | ისტ. XI I. 4.<br>ისტ. XI I . 5. |
| **38) საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა** | ▪ ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან | ისტ. XI I. 5. |

# გეოგრაფია

## საგნობრივი უნარები:

**მოსწავლეს უნდა შეეძლოს:**

1. გეოგრაფიული ცნებებისა და ტერმინების და საპროგრამო მასალის გაგება და ადეკვატური გამოყენება;

2. გეოგრაფიულ ტექსტში და/ან რუკაზე (ზოგადგეოგრაფიული, პოლიტიკური და სხვა თემატური რუკები) და/ან დამხმარე გეოგრაფიულ საშუალებებზე (გრაფიკები, ცხრილები და დიაგრამები) ინფორმაციის კითხვა და ანალიზი.

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| **1) საქართველო და კავკასია** | მდებარეობა და საზღვრები, ევროპა-აზიის შორის საზღვრის გატარების ვერსიები, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა, შავი და კასპიის ზღვები | გეო. IX. 8. |
| **2) საქართველოს ტერიტორიის ფორმირება** | უძველესი დროიდან დღემდე | გეო. IX. 8. |
| **3) საქართველოს ბუნების კომპონენტები-რელიეფის ძირითადი ფორმები და ტიპები, მასთან დაკავშირებული პრობლემები; საქართველოს ჰავის ძირითადი მახასიათებლები და შიდა წყლები;** | მიწისძვრა, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, ეროზია.<br>ძირითადი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები. | გეო. IX. 2.<br>გეო. IX. 3. |

→ 8

## გამოსაშვები გამოცდები

# გეოგრაფია

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| 4) საქართველოს პოლიტიკური მოწყობა | მმართველობის ფორმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები | |
| 5) მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა; საქართველოს მეურნეობა | მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი | გეო. IX. 9. |
| 6) ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია და გეოგრაფია | საქართველოს და მსოფლიოს მნიშვნელოვანი სასარგებლო წიაღისეული | გეო. IX. 2.<br>გეო. XI. 2. |
| 7) საქართველოს დაცული ტერიტორიები | ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი, ბუნების ძეგლი | გეო. IX. 4. |
| 8) მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების ეტაპები | მნიშვნელოვანი გეოგრაფიული აღმოჩენები: კოლუმბი, მაგელანი, ვასკო და გამა | გეო. XI. 1. |
| 9) ქვეყნების კლასიფიკაცია | გეოგრაფიული მდებარეობის, ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რაოდენობის, მმართველობის ფორმის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით | გეო. XI. 3. |
| 10) საერთაშორისო ორგანიზაციები | გაერო, ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ნატო, წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი | გეო. XI. 3.<br>გეო. IX. 10. |
| 11) მსოფლიოს და საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფია | მოსახლეობის აღწერის ცნება და მნიშვნელობა, მოსახლეობის რაოდენობა და განსახლება, ურბანიზაცია და ქალაქების გეოგრაფია, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ეთნიკური და რელიგიური სტრუქტურა | გეო. IX. 5.<br>გეო. IX. 6.<br>გეო. XI. 4. |
| 12) საქართველოს კურორტები და ტურიზმი | | გეო. IX. 9. |
| 13) ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით | ჰუმანური განვითარების ინდექსი, საერთაშორისო ვაჭრობა, იმპორტი, ექსპორტი, სავაჭრო ბალანსი და სალდო | გეო. XI. 2.<br>გეო. XI. 5.<br>გეო. XI. 6. |
| 14) დიდი რვიანის ქვეყნები და მსოფლიო რეგიონები | დასახელება და შემავალი ქვეყნები, მდებარეობა და საზღვრები, ბუნებრივი პირობები და რესურსები, მოსახლეობა, ეკონომიკა | გეო. XI. 2.<br>გეო. XI. 5.<br>გეო. XI. 6. |

# ბიოლოგია

## საგნობრივი უნარები:

**მოსწავლეს უნდა შეეძლოს:**

1. საკითხის ცოდნის, გაგების და გამოყენების დემონსტრირება
   - ძირითადი ცნებების, ფაქტების, კანონების ცოდნა, შესაბამისი ტერმინოლოგიით ახსნა -განმარტება, მათი ადეკვატური და პრაქტიკული გამოყენება
2. მონაცემების წაკითხვა და ორგანიზება
   - სხვადასხვა ტექსტიდან, ნახატიდან, გრაფიკიდან, სქემიდან, ცხრილიდან და დიაგრამიდან საჭირო ინფორმაციის წაკითხვა
   - მონაცემების გადაყვანა ერთი სახიდან მეორეში (მაგ. ცხრილების გრაფიკებში და სხვა)
3. მონაცემების ანალიზი და შეფასება
   - ფიზიკურ სიდიდეებს შორის ზოგადი კანონზომიერებებისა და რაოდენობრივი კავშირების დადგენა
   - მონაცემთა ინტერპრეტაცია, ანალიზი და დასკვნის გამოტანა
   - მონაცემთა კლასიფიცირება
   - მოვლენათა მიზეზების ახსნა. მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა
4. პრობლემის გადაჭრა
   - პრობლემის გადაჭრის გზების შერჩევა
   - პრობლემის გადაჭრის ეტაპების განსაზღვრა
   - პრობლემის გადაჭრა

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| 1.სიცოცხლის ძირითადი ნიშნები | მოძრაობა, კვება, სუნთქვა, გამოყოფა,გაღიზიანებადობა, ზრდა-განვითარება, გამრავლება. სასიცოცხლო პროცესების მნიშვნელობის განმარტება. | ბუნ.VII.1 |
| 2. ცოცხალი სისტემის ორგანიზაციის დონეები | მოლეკულური, უჯრედული, ქსოვილური, ორგანოთა, ორგანიზმული, პოპულაციური, ბიოცენოზური, ეკოსისტემური, ბიოსფერული. მოცემულ მაგალითზე ორგანიზაციული დონის ამოცნობა/განსაზღვრა. ორგანიზაციული დონეების თანმიმდევრულად დალაგება. | ბუნ.VIII.1 |
| 3. უჯრედი<br>3.1 ეუკარიოტული და პროკარიოტული უჯრედები | პლაზმური მემბრანა, უჯრედის კედელი: მათი აგებულება და ფუნქცია.<br>ციტოპლაზმა: ენდოპლაზმური ბადე, რიბოსომა, მიტოქონდრია, პლასტიდები, გოლჯის აპარატი, ლიზოსომა, ვაკუოლი, უჯრედის ცენტრი - მათი აგებულება და ფუნქცია. ბირთვი: გარსი, ქრომოსომები, ბირთვაკი, მათი აგებულება და ფუნქცია.<br>ფორმისა და ფუნქციის შესაბამისობის დადგენა/განმარტება. თვალსაჩინოებაზე სტრუქტურების ამოცნობა.<br>მცენარეული და ცხოველური უჯრედების შედარება. | ბუნ.VIII.1 |
| 3.2 უჯრედის გაყოფა | უჯრედული ციკლი: ინტერფაზა და მიტოზი. მიტოზის ფაზების ერთმანეთისაგან გარჩევა/ამოცნობა. მიტოზის ფაზების თანმიმდევრულად დალაგება. | ბუნ.VIII.2 |
| 3.3 სიცოცხლის არაუჯრედული ფორმები პროკარიოტები | ვირუსები: აგებულება, გამრავლება და მათ მიერ გამოწვეული ზოგიერთი დაავადება. განსხვავება სიცოცხლის უჯრედული ფორმებისაგან.<br>ბაქტერიები: აგებულება, გამრავლება და მნიშვნელობა. ბაქტერიების ფორმების ცოდნა/ამოცნობა. ბაქტერიების ცხოველქმედების დაკავშირება კვების ტექნოლოგიის კონკრეტულ პროცესთან (მაგ., დუღილი, დამჟავება). | ბუნ.VIII.1 |
| 4. ადამიანი<br>4.1 საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა | მნიშვნელობა, ჩონჩხის აგებულება და ფუნქცია. თვალსაჩინოებაზე ძვლების ამოცნობა. ძვალთა შეერთების სახეები. კუნთების სახეები: განივზოლიანი, გლუვი და გულის კუნთები. მათი აგებულება და ფუნქცია. განივზოლიანი, გულის და გლუვი კუნთების შედარება (აგებულების, მდებარეობისა და მოქმედების მიხედვით). | ბუნ.IX.1 |
| 4.2 საჭმლის მომნელებელი სისტემა | სისტემის ნაწილების აგებულება და ფუნქცია. საკვების მონელება სისტემის ორგანოებში, შეწოვა, დეფეკაცია.<br>სისტემის ორგანოების ჩამოთვლა და ამოცნობა ცალკეული ორგანოს დაკავშირება ორგანოთა სისტემასთან. | ბუნ.IX.1 |
| 4.3 სასუნთქი სისტემა | სისტემის ორგანოების ჩამოთვლა და ამოცნობა. სისტემის ნაწილების აგებულება და ფუნქცია. აირთა ცვლა ფილტვებსა და ქსოვილებში. სუნთქვითი მოძრაობები. ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა. | ბუნ.IX.1 |
| 4.4 სისხლი | პლაზმა. ფორმიანი ელემენტები - აგებულება, ფუნქცია. სისხლის ჯგუფები; რეზუს ფაქტორი. იმუნიტეტი | ბუნ.IX.1 |
| 4.5 სისხლის მიმოქცევის სისტემა | სისტემის ნაწილების აგებულება და ფუნქცია. დიდი და მცირე წრეები.<br>გულის მუშაობა. პულსი, წნევა. სისხლდენა. სისტემის ორგანოების ჩამოთვლა და ამოცნობა ცალკეული ორგანოს დაკავშირება ორგანოთა სისტემასთან. | ბუნ.IX.1 |
| 4.6 შარდგამომყოფი სისტემა, კანი | აგებულება და ფუნქციები.<br>სისტემის ორგანოების ჩამოთვლა და ამოცნობა. ცალკეული ორგანოს ძირითადი ფუნქციის დასახელება | ბუნ.IX.1 |

→ 9

გამოსაშვები გამოცდები

# ბიოლოგია

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| **4.7 ენდოკრინული სისტემა** | მნიშვნელობა. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები (ფარისებრი, კუჭქვეშა, თირკმელზედა, ჰიპოფიზი).<br>ჰორმონები (თიროქსინი, ინსულინი, გლუკაგონი, ადრენალინი,ზრდის ჰორმონი). ენდოკრინული ჯირკვლების ჰიპერ- და ჰიპოფუნქციით გამოწვეული დაავადებები. მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. | ბუნ.IX.1 |
| **4.8 ნერვული სისტემა** | ნერვული სისტემის ნაწილები. რეფლექსური რკალი. ზურგის ტვინისა და თავის ტვინის აგებულება, ფუნქციები.<br>ილუსტრაციაზე ნაწილების ამოცნობა, მარტივი რეფლექსური რკალის დადგენა. | ბუნ.IX.1 |
| **4.9 გრძნობათა ორგანოები** | მხედველობისა და სმენის ორგანოების აგებულება, ფუნქციონირება.<br>ახლომხედველობა და შორსმხედველობა.<br>ილუსტრაციაზე ნაწილების ამოცნობა.<br>მაგალითზე ახლომხედველობისა და შორსმხედველობის ერთმანეთისგან გარჩევა. | ბუნ.IX.1 |

| საკითხთა ჩამონათვალი | საკითხთა დაზუსტება | კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან |
|---|---|---|
| **5. მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა** | | |
| **5.1 მემკვიდრეობითობის კანონზომიერებები** | პირველი თაობის ერთგვაროვნების კანონი, დათიშვის კანონი. გენთა დამოუკიდებელი მემკვიდრეობის კანონი (მონო- და დიჰიბრიდული შეჯვარების მაგალითზე).<br>ალელურ გენთა ურთიერთქმედება.<br>გენეტიკური ამოცანების ამოხსნა. | ბიოლ.X.1 |
| **5.2 სქესის გენეტიკა** | სქესთან შეჭიდული ნიშან-თვისებების მემკვიდრეობა.<br>გენეტიკური ამოცანების ამოხსნა. | ბუნ.IX.2 |
| **5.3 ცვალებადობის კანონზომიერებები** | არამემკვიდრული ცვალებადობა - მოდიფიკაციური.<br>მემკვიდრული ცვალებადობა - მუტაციური. | ბუნ.IX.2 |

საუბრები ბიბლიაზე

# ეგვიპტის უკანასკნელი სასჯელი



რუბრიკას უძღვება
***მაკა თაქთაქიშვილი***

„უთხრა უფალმა მოსეს: ადექი დილაადრიანად, წარუდექი ფარაონს და უთხარი: ასე ამბობს-თქო უფალი, ებრაელთა ღმერთი: გაუშვი ჩემი ხალხი, რომ მემსახურონ“ (გამ.9:13).

თავს არ ზოგავდნენ მოსე და აარონი ფარაონის დასარწმუნებლად. მას და მის ხალხს უნდა დაენახათ უფლის ძალა, უნდა ეღიარებინათ მისი არსებობა და გადაედგათ ნაბიჯები უფლის ნების განსახორციელებლად – გაეშვათ ისრაელიანნი უდაბნოში უფლისათვის მსხვერპლის შესაწირად. გაჯიუტებულია და უგუნურებას სჩადის ფარაონი, უფალი კვლავ აფრთხილებს მას: „მაგრამ მხოლოდ იმისთვის დაგარჩენ, რომ გიჩვენო ჩემი ძალა და ემცნოს ჩემი სახელი მთელს ქვეყანას. აქამდე აბუჩად იგდებ ჩემს ერს და არ უშვებ. აჰა, ჩამოვყრი ხვალ ამ დროს მაგარ სეტყვას, რომლის მსგავსი არ უნახავს ეგვიპტის ქვეყანას მისი დაფუძნებიდან დღემდე“ (გამ.9:16-18) – ეს მეშვიდე სასჯელია. წინა ექვსისგან განსხვავებით, უფალი აფრთხილებს ეგვიპტელებს „...ყოველი კაცი და პირუტყვი, რაც კი გარეთ დარჩება და ჭერს არ შეეფარება, დაისეტყვება და მოისპობა“ (გამ.9:19), მართლაც, „მოდიოდა სეტყვა და ცეცხლი გიზგიზებდა სეტყვაში, ძალზე მაგარი იყო სეტყვა, მისი მსგავსი არ მოსულა ეგვიპტის ქვეყანაში, რაც იქ ხალხი სახლობს“ (გამ.9:24). სეტყვამ სრულიად გაანადგურა ღია ცის ქვეშ დარჩენილი ქონება და პირუტყვი, მოსავალი და ყოველივე მცენარეული. ხელშეუხებელი მხოლოდ გოშენის მხარე დარჩა. ისრაელიანებით დასახლებულ მხარეს სეტყვა არ მიჰკარებია. და, აი, ფარაონმა პირველად აღიარა თავისი დანაშაული „...ახლა კი ვხედავ, რომ შემიცოდავს; მართალია უფალი – დავაშავეთ მე და ჩემმა ხალხმა. შეევედრეთ უფალს, შეწყდეს ღვთის გრგვინვა და სეტყვა, და გაგიშვებთ; მეტს აღარ დაყოვნდებით“ (გამ.9:27-28). მაგრამ ამჯერადაც მოიტყუა ფარაონმა, შეწყდა თუ არა სეტყვა კვლავ „გაუსასტიკდა გული ფარაონს და არ გაუშვა ისრაელიანები, როგორც ნათქვამი ჰქონდა მოსესთვის უფალს“ (გამ.9:35). კვლავ მოვიდა ფარაონთან მოსე და აარონი და გააფრთხილა, რომ უფლის ნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ახლა უკვე უთვალავი კალია შეესეოდა ეგვიპტელთა მიწებს. ფარაონის მხლებლებმა გონიერებისკენ მოუწოდეს მბრძანებელს, „...როდემდის ვითმინოთ ეს სატანჯველი? გაუშვი ეგ ხალხი და ემსახურონ თავიანთ უფალ ღმერთს. ველარ მიხვდი, რომ იღუპება ეგვიპტე?“ (გამ.10:7). ფარაონი უკან იხევს, თითქოს დაიყოლიეს იგი... მხოლოდ მამაკაცების გაშვებას თანხმდება ფარაონი, ბავშვებსა და საქონელს არ უშვებს.

ასობით წელი მონებივით ექცეოდნენ ეგვიპტელები სტუმრად მოსულ ხალხს. აწამებდნენ, მძიმე, არაადამიანურ პირობებში აიძულებდნენ ეშრომათ და საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე მოეპოვებინათ სარჩო-საბადებელი. გადმოცემის თანახმად, გარდა აგურების დამზადებისა, ისრაელიანები მიწაზეც მუშაობდნენ. მძიმე შრომისგან დაღუპულ მუშაკს ეგვიპტელები სწვავდნენ და მის ფერფლს მიწის სასუქად იყენებდნენ. ამიტომაც მერვე სასჯელი მიწას უკავშირდება. უთვალავი კალია შეესია ყველაფერ მწვანესა და ცოცხალს.

„მოუღერა კვერთხი მოსემ ეგვიპტის ქვეყანას და მოდენა უფალმა აღმოსავლეთის ქარი ქვეყნად; ქროდა ქარი მთელს დღესა და მთელს ღამეს. დადგა დილა და მოასია აღმოსავლეთის ქარმა კალია“ (გამ.10:13). გადაშავდა მიწა და გადაჭამა კალიამ ქვეყნის მთელი ბალახი და ხის ყველა ნაყოფი, ყველაფერი, რაც სეტყვას გადაურჩა. სასწრაფოდ მოუხმო ფარაონმა მოსეს და აარონს, და შესთხოვა „...ცოდვილი ვარ უფლის, თქვენი ღვთისა და თქვენს წინაშე. ერთხელ კიდევ მომიტევეთ ცოდვა, შეევედრეთ თქვენს უფალ ღმერთს, ოღონდაც ამარიდოს ეს სიკვდილი“ (გამ.10:16-17). შემოაბრუნა უფალმა აღმოსავლეთის ქარი და წაიღო ქარმა კალია მეწამული ზღვისაკენ. ერთი კალიაც არ დარჩენილა ეგვიპტის მიწაზე. კალიების უეცარი განადგურება უფლის ძლიერების კიდევ ერთი საბუთი უნდა გამხდარიყო, მაგრამ კვლავ უფლის დაშვებით გაუსასტიკდა გული ფარაონს, არ გაუშვა მან ისრაელიანები ეგვიპტიდან.

და დაიმსახურა ეგვიპტემ მეცხრე სასჯელი: უკუნი წყვდიადი ჩამოწვა ეგვიპტის ქვეყანაში, სამი დღე გამეფდა იგი, ხელშესახები წყვდიადი იდგა, ისეთი, რომ არავინ დაძრულა ადგილიდან, რადგან, ეშინოდათ „...ხოლო ისრაელიანებს სინათლე ჰქონდათ თავიანთ სამყოფელში“(გამ.10:23).

უხმო შეძრწუნებულმა ფარაონმა მოსეს და უთხრა: „...წადით და ემსახურეთ უფალს, ოღონდ ცხვარძროხა დარჩეს, ბავშვები კი თან წაიყოლეთ“ (გამ.10:24). ასეთი პირობა კვლავ უარის ტოლფასი იყო. მოსე ვერ დატოვებდა ეგვიპტეს საქონლის გარეშე. „უთხრა მოსემ: შენც უნდა მოგვცე საკლავი და აღსავლენი, რომ ჩვენს უფალს, ღმერთს შევწიროთ. ჩვენი საქონელიც უნდა წამოგვყვეს, ერთი ჩლიქიც არ უნდა დარჩეს; მათგან გამოვარჩევთ შესაწირავს უფლის, ჩვენი ღვთისათვის. სანამ იქ არ მივსულვართ, არ ვიცით, როგორ უნდა ვემსახუროთ უფალს“ (გამ.10:25-26). ძლიერ განრისხდა ფარაონი, გაუსასტიკა მას უფალმა გული და არ ინება მათი გაშვება. „უთხრა ფარაონმა: მომწყდი თავიდან! ფრთხილად იყავი, თვალით აღარ დამენახო, თორემ იმდღესვე მოკვდები, რა დღესაც დამენახვები. მიუგო მოსემ: სწორს ამბობ: მეტს აღარ დაგენახვები“ (გამ.10:28-29). მოსეს პასუხი მოახლოებული დასასრულის მანიშნებელია.

„უთხრა უფალმა მოსეს: კიდევ ერთ სასჯელს მოვუვლენ ფარაონს და ეგვიპტეს და მერე გაგიშვებთ აქედან ფარაონი. არათუ გაგიშვებთ, საბოლოოდ გაგყრით აქედან“ (გამ.11:1).

უკანასკნელი, მეათე სასჯელი თავისი მნიშვნელობით ისრაელიანთა ისტორიის საწყისს წარმოადგენს. ის ერთი მხრივ, ეგვიპტელთა ამპარტავნების გამო დამსახურებული სასჯელია და მეორე მხრივ, ღმერთის რჩეული ერის ახალი დაბადების დასაწყისია. სასჯელის მიხედვით ეგვიპტელთა ოჯახებში ყოველი პირმშო უნდა განადგურებულიყო „...ასე ამბობს უფალი: შუაღამისას გამოვალ შუაგულ ეგვიპტეში. მოკვდება ყოველი პირმშო ეგვიპტის ქვეყნად ტახტზე მჯდომარე ფარაონის პირმშოდან პირმშომდე მხევლისა, ხელსაფქვავებს რომ უზის; მოკვდება ყოველი პირუტყვის პირველმოგებული“ (გამ.10:45), მოიცავს ქვეყანას დიდი გლოვა და ზარი, „ხოლო ისრაელიანებს – კაციდან პირუტყვამდე – ძაღლიც არ შეუყეფს, რათა გეცოდინოთ, რომ ზღვარი დასდო უფალმა ეგვიპტელთა და ისრაელიანთა შორის“ (გამ.11:7).

არსებობს კითხვა, რომ თუ უფალი მოწყალე და მიმტევებელია, მაშინ რად სჯის ის ცოდვილთ, რატომ არ მიუტევებს მათ შეცოდებებს და რატომ არ პატიებს მათ დანაშაულს? ასეთი მოსაზრება ეწინააღმდეგება წმინდა წერილის ლოგიკას. ადამიანები თავიანთი ამპარტავნებით ღვთის წინაშე სცოდავენ, არღვევენ შემოქმედის მიერ დადგენილ კანონებს და ჩადენილი ცოდვების გამო სამართლიანად ისჯებიან. ასე უგალობებს მოსე უფალს: „კლდეა იგი, სრულყოფილია მისი ქმნილება, რადგან სამართლიანია მისი ყოველი გზა. ჭეშმარიტებაა ღმერთი, არა სიცრუე; მართალი და წრფელია იგი“ (რჯლ.32:4). ხშირად, მხოლოდ მკაცრ სასჯელს ძალუძს ადამიანში სინანულისა და სასოების გრძნობის გაღვივება. ადამიანის სული უკვდავია და ამ სულის უკვდავსაყოფად მას შანსი დედამიწაზე ცოდვების მონანიებით ეძლევა.

მოციქული პავლე გვასწავლის: „ან იქნებ უგულებელყოფ მისი სიკეთის, ლმობიერებისა თუ სულგრძელობის სიუხვეს და ვერ შეგიგნია, რომ ღვთის სიკეთეს სინანულისაკენ მიჰყავხარ? შენ კი სიკერპითა და უსინანულო გულით თვითონვე იუნჯებ რისხვას ღვთის რისხვისა და მისი მართალი მსჯავრის გამოცხადების დღისთვის“ (რომ.2:4-5).

თუ კარგად დავაკვირდებით ფარაონისა და ეგვიპტელთა სასჯელებს, მივხვდებით, რომ მათ თავს დამტყდარი სასტიკი განსაცდელი არა მხოლოდ დასჯის, არამედ მოქცევის და გულებში სინანულის დაუნჯების მცდელობაა. სასჯელების შედეგად არაერთი ეგვიპტელი მოექცა ჭეშმარიტ რწმენაში. ამის შესახებ უფალი პირდაპირ ეუბნება ფარაონს: „მაგრამ მხოლოდ იმისთვის დაგარჩენ, რომ გიჩვენო ჩემი ძალა და ემცნოს ჩემი სახელი მთელს ქვეყანას“ (გამ.9:16). ისიც ცნობილია, რომ ებრაელებთან ერთად უამრავმა ეგვიპტელმაც დატოვა ეგვიპტე და გამოექცა ძალადობას, უუფლებობას, სიყალბეს, ულმერთობას. ხოლო მათ, ვინც ფარაონთან დარჩა და მისი ბრმა მსახურება განაგრძო, სრული განადგურება ელოდათ.



# რას ნიშნავს საქართველო ჩემთვის

## სოხუმიდან დაწყებული, ლტოლვილობა დამებედა!



აფხაზეთის განათლების განყოფილების თანამშრომელთა შემცირების შემდეგ თბილისის №44 საჯარო სკოლაში დავიწყე მუშაობა, ამ უკანასკნელის დახურვის შემდეგ –კერძო სკოლა „თამარიონში“; აქაც არ გამიმართლა: ისიც სხვა კერძო სკოლას შეუერთდა და კვლავ უადგილოდ აღმოვჩნდი (თუმცა სერტიფიცირება კი გავიარე), ახლა რუსულ კერძო სკოლაში ვარ. ჩემთვის მთავარია, საქართველოში ვიყო და თან სკოლაში, სხვას ყველაფერს ეშველება!

ძალიან საინტერესოა სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის ბავშვებთან მუშაობა. ასე მგონია, დიდი მისია დამეკისრა: ვასწავლო ქართული მათ და ამავე დროს, საქართველო და მისი კულტურაც შევაყვარო. თუმცა, ჩვენს ქვეყანას თავისი მაგიური ძალა აქვს. ახლახან აკაკი წერეთლის „განთიადი“ გავიარეთ IX კლასში და მოსწავლეებს კლასშივე დასაწერად მივეცი თემა: „რას ნიშნავს საქართველო ჩემთვის“. ძალიან მომინდა, ზოგიერთი მათგანი თქვენთვისაც წამეკითხვინებინა, რათა კიდევ ერთხელ მივმხვდარიყავით ყველა, რომ საქართველოს მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს, ის სიყვარული, ასე ძალუმად რომ აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში აქ მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელს.

***აზა ქადარია***

*სკოლა „ინტელექტის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

* * *

მე დავიბადე საქართველოში. ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა, ვცხოვრობ თბილისში უკვე 15 წელია. მიყვარს ეს ქალაქი, ადამიანები, რომლებიც აქ ცხოვრობენ. არ ვიცი, როგორ ამბობენ სხვები, მაგრამ ქართველები ყველაზე თბილი და გულკეთილი ხალხია.

თბილისში ყველა ადგილი საოცარია, მაგრამ ყველაზე მეტად მიყვარს თბილისი ღამით. მე არც ერთხელ არ მინანია, რომ აქ დავიბადე.

ქართულად ლაპარაკი ჩემთვის ადვილია. ჩემს სამშობლოში ბევრი უმნიშვნელოვანესი ეკლესიაა, მაგალითად, სვეტიცხოველი, რომელიც ჩემი აზრით პირველი ტაძარია საქართველოში. მინდა, რომ ვნახო ეს ეკლესია.

თბილისი ძალიან გალამაზდა ამ წლებში. არ ვიცი, რას ვიზამდი თუ სხვა ქვეყანაში დავიბადებოდი, რადგან ვიცი, როგორია ჩემი სამშობლო და არ მინდა აქედან წასვლა.

მინდა ვთქვა კიდევ, რომ რუსეთის და საქართველოს კონფლიქტის მერე რუსებს არ უყვართ ქართველები. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არასწორია. მე ვმეგობრობ ქართველებთან და რუსებთან და მინდა, ამ ორ ერს შორის კვლავ აღდგეს მეგობრობა.

***ვლადისლავ მისიურინი***

* * *

მე ძალიან მიყვარს საქართველო, მე ნახევრად ქართველი ვარ. ხშირად ჩამოვდივარ საქართველში ზაფხულში ან ზამთარში, მაგრამ მე ახლა ერთი წელია აქ ვსწავლობ. აქ საქართველოში ძალიან კარგი ხალხია. საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა. მე მიყვარს ჩემს მეგობრებთან ერთად სეირნობა, ზღვაზე ბანაობა და კასპის სოფელი. მე ფიქრობ, რომ საქართველო არის ყველაზე ლამაზი ქვეყანა. ძალიან ვამაყობ, რომ საქართველოში ვარ და დედით ქართველი ვარ.

***ვახტანგ ნაგლერი***

* * *

საქართველო არის ჩემი სამშობლო. ქართველი არ ვარ, მაგრამ ამ ქვეყნის სიყვარულს ღრმა ფესვები გაუდგამს ჩემს გულში. აქ არის ყველაფერი ის, რაც მიყვარს, რასაც ვერასოდეს დავივიწყებ.

ალბათ, ყველაზე ცუდია ცხოვრებაში წასვლა იქედან, სადაც ყველა გიყვარს, იმ ქვეყნიდან, რომელმაც გაგზარდა...

შეიძლება, ქართული გვარი არ მაქვს, მაგრამ სულით ჩემს თავს ქართველად ვგრძნობ. დარწმუნებული ვარ, ვერასდროს ასე ვერ შევიყვარებ სხვა ქვეყანას. მე საქართველოს პატრიოტი ვარ და ვამაყობ ამით.

საქართველო ჩემთვის არ არის უბრალო ტერიტორია, ქალაქები და გზები. ის ჩემი სულია. ეს ქვეყანა ხომ არავის ტოვებს გულგრილს. ვინც კი ერთხელ ნამყოფია აქ, ვერასოდეს დაივიწყებს მას, ყოველთვის გულში ექნება აქ გატარებული დრო.

ყველაზე მეტად საქართველოში მომწონს ხალხის თბილი გული. როდესაც მიდიხარ სადმე საზღვარგარეთ, გგონია, რომ იქაც ასე იქნება – ასეთივე გულთბილი ხალხი, მაგრამ თურმე არა!

ქართველები განსხვავებულები არიან.

საოცარი კი ისაა, რომ ყველაფერი საქართველში არის ჩემთვის მშობლიური, ღვიძლი! ყველაზე მეტად ვამაყობ იმით, რომ ამ მშვენიერ ქვეყანაში ვცხოვრობ.

***ოქსანა მარტინენკო***

* * *

მე ახალი ჩამოსული ვარ საქართველოში, მაგრამ იმდენად მომეწონა ეს ქვეყანა, რომ აქედან წასვლის სურვილი არ მაქვს. მე ვცხოვრობდი საქართველოში პატარაობისას და მერე ჩემი ოჯახი გადავიდა რუსეთში. იქ დავყავით რვა წელი და შარშან ისევ ჩემოვედით საქართველოში. იმდენად შეცვლილი დამხვდა ეს ქვეყანა, რომ არ მჯეროდა, თუ საქართველოში ვიყავი. ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ქვეყანაში. ბევრი რამ აშენდა, გააუმჯობესეს გზები, გაალამაზეს ქუჩები. მთავარი, რასაც მივხვდი, არის ის, რომ ყველაფერს საკუთარ სამშობლოში ცხოვრება სჯობია. მე ძალიან მიყვარს საქართველო და მუდამ მეყვარება.

***ზაზა ქურასბედიანი***

* * *

მე დავიბადე რუსეთში. ნახევრად რუსი ვარ, ნახევრად მუსულმანი... მაგრამ, ჩემი სახლი, ჩემი ადგილი მხოლოდ საქართველოშია. ვერანაირი სიმდიდრე, ვერც ერთი ადამიანი ვერ გადამაყვარებს ჩემს ქალაქს, რადგან, ასე მგონია, სხვა ადგილს ჩემი გული ვერ მიიღებს, როგორც სახლს.

აქ ჩემი ცხოვრებაა, ჩემი პატარა სამოთხეც და ჯოჯოხეთიც. რომლის გარეშე ვერც თვალებს გავახელ, ვერც ვისუნთქავ. ესაა ადგილი, სადაც მე პირველი ნაბიჯი გადავდგი, გადავლახე ტკივილის ზღვა (რაც ალბათ გაგიკვირდებათ). მაგრამ ეს ჩემი სახლია და სხვა არ მინდა. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საქართველოდან წასვლისას ჩემი ცხოვრება შეწყდება სწორედ იმ წუთში, როდესაც გადავკვეთ საზღვარს.

დავდივარ თბილისის და რუსთავის ქუჩებში. ვხედავ ამ ხალხს, ყველას სახეში ვკითხულობ ცხოვრების აზრს. ვტირი ბავშვობის შეცდომებზე... ესაა ცხოვრებაც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩემს გულს ამ ქვეყნის სიყვარული ავსებს და ეს სიყვარული დამეხმარება ყველაფრის დაძლევაში.

მიყვარხარ, ჩემო საქართველოვ!

***ნინო ბელობოროდოვა***

**РАССВЕТ**

Святая гора задумалась,
На звезду смотрит, путь освещавшую.
Лучиком света окуталась,
Могила героя падшего.
Святая гора успокоилась,
Слушает речки журчание.
Река поёт колыбельную,
Тому, кто врагу не кланялся.
Святая гора в сердце спрятала
Могилу для внуков будущих,
Отцу Давиду завет дала
Передать потомкам, родину любящих.
Писатель, с чувством запутанным,
Взгляд на округу бросает.
И сердца ответами разными,
Краю красивому песни слагает.
Земля изумрудная, небо лазурное –
Моя сторона, моя родина шумная.
И вот, я вернулся, вернулся, но болен.
Стань моим лекарем, лечащим горе.
Не выдержал осиротения,
Кровавые слёзы пролил.
Душе и сердцу не хватило терпения,
Тебя я увидеть спешил!
А впереди меня встречали
Твое солнце и луна.
И звёзды группами блестали,
Земля была освещена.
Сердце забилось от радости,
В прошлом остались печали.
Роза с фиалкой увядшие,
Жизнью опять задышали.
Небо лазурное, земля изумрудная –
Край мой, лечащий душу.
Я твой, за тебя лишь умру я.
Оплакивай меня в холод и стужу.
Не мучай меня ни живым, ни мертвым,
Укрой меня под своим склоном.
А когда я умру, только помни,
О моём завещании скромном:
Родина Мать, много не надо мне,
Ты передай лишь меня земле своей,
Небо алмазное, земля изумрудная –
Ты моя родина чудная!

***ნინო ბელობოროდოვას*** *თარგმანი*

* * *

ჩემთვის საქართველო ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავს! ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ის ჩემი სამშობლოა. სამწუხაროდ, აქ მხოლოდ ორი წლის წინ ჩამოვედი, მაგრამ შორიდან მიყვარდა ის. ჩამოსვლის შემდეგ კი უფრო გამიღრმავდა ეს გრძნობა. მიყვარს ჩემი თბილი ხალხი და არც არასოდეს არ მინდა სხვაგან ვიცხოვრო. აქ არც არაფრის მეშინია იმიტომ, რომ ვიცი, დამეხმარებიან, სხვაგან კი, სხვის ქვეყანაში, მუდამ ვგრძნობ რაღაც შიშს.

მიყვარს, ძალიან მიყვარს საქართველო.

***თენგიზ ბეგიშვილი***

* * *

საქართველო ჩემი სამშობლოა. აქ დავიბადე და აქ ვიზრდები, აქ გავატარე ბავშვობის საუკეთესო წლები და დანამდვილებით ვიცი, რომ, სადაც არ უნდა მომიწიოს ცხოვრებაში წასვლა, მუდამ ასე ძლიერ მეყვარება ჩემი სამშობლო და არასოდეს დავივიწყებ მას. ან როგორ დავივიწყო? ჩემთვის თითოეული ქუჩა, თითქმის ყველა კუთხე ნაცნობია. მართლაც, რომ ეს საოცარი ქვეყანაა და ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ ის ჩემი სამშობლოა, არამედ იმიტომ, რომ მართლა ასეა.

საქართველოს თითო კუთხეს თავისი კოლორიტი, თავისი პეწი აქვს, თავისი ტრადიციები, საჭმელი, ცეკვა, სიმღერა და სხვა მრავალი რამ, თუმცა იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ საშუალო ზომის პოლიტიკურ რუკაზე ძლივს თუ იპოვი! მაგრამ ამის მიუხედავად, ამ პატარა ქვეყანამ თავისი ისტორიით დაამახსოვრა თავი მთელ მსოფლიოს.

ნელ-ნელა საქართველოც იწყებს მასიურ განვითარებას. თითოეული მხარე რესტავრაციას განიცდის, თბილისის ყველა ქუჩა განახლებულ სახეს იღებს. ყველაფერი თანდათან უმჯობესდება და მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ძალიან მიხარია ეს.

რას ნიშნავს საქართველო ჩემთვის? იგი ჩემთვის ყველაფერია: ცხოვრება, ბედნიერება, მოგონებები, დაუვიწყარი წუთები, თოვლის ფანტელები, ლურჯი ცა, ზურმუხტი მიწა, ზღაპრული წარსული, გაზაფხულის სურნელი და ვინ იცის, კიდევ რა!

ერთი სიტყვით, საქართველო თვითონ მე ვარ. ის ჩემშია და მე – მასში!

***ნუცა ვასაძე***

* * *

მე უკვე საქართველოში, კერძოდ, თბილისში ვცხოვრობ 14 წელია. აქ დავიბადე, აქ გავიგე, რას ნიშნავს სიყვარული, მეგობრობა, მონატრება, სევდა. საზღვარგარეთაც ვყოფილვარ და სიმართლე რომ გითხრათ, საქართველო ძალიან მენატრებოდა. გეტყვით ასე: მე საქართველოში დავიბადე, ვცხოვრობ და ის ჩემთვის ნიშნავს ცხოვრებაში გამართლებას, კარგ დასაწყისს და იმედი მაქვს, რომ ეს „კარგი“ არასოდეს შეიცვლება „ცუდით“.

***მიხეილ მრადი***

## იუბილე

30 წელია, რაც **კარინე ქამალიანი** დაწყებითი კლასების მასწავლებლად მუშაობს ნინოწმინდის რაიონის განძის შოთა რუსთაველის სახელობის №2 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **სარქის დურგარიანი**). იგი წარმატებული მასწავლებელია, უყვარს ყველას – მოსწავლეებსაც და მშობლებსაც. სოფელში დიდ პატივს სცემენ. მისი მოსწავლეები ყოველთვის გამოირჩევიან ცოდნის დონით, დისციპლინით და შრომისმოყვარეობით.

ახლა უკვე თავისი მოსწავლეების შვილებსა და შვილიშვილებს ასწავლის, ასწავლის ისეთივე სიყვარულითა და ენერგიით, როგორც მათ ასწავლიდა, მისდევს სკოლის რეფორმას, უყვარს სიახლეების დანერგვა სწავლებაში. საინტერესოდ ჩაატარა ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულის, როგორც მეორე ენის და ხელოვნების, პედაგოგებთან – **ნანა მიხანაშვილთან** და **ვანიკ თევანიანთან** ერთად, ხოლო შემდეგ სასკოლო ღონისძიება – „ოქროს შემოდგომა“ ქართულ და სომხურ ენებზე. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ მშობლებმაც. ინტეგრირებულ გაკვეთილს და ღონისძიებას გეგმავს ქალბატონი კარინე საახალწლოდ.

ვულოცავთ მას დაბადებიდან 50 წლისა და პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

*მშობელთა სახელით:* ***სუსანნა პოლოსიანი, მაქრუჰი დურგარიანი, ნარინე ვარძელიანი, კარინე თანგამიანი***



ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# ისტორიოგრაფია დროსთან თამაშია და მე ეს ძალიან მომწონს



**– გრიგოლ, ჩვენი ინტერვიუ დავიწყოთ თავიდან – სასწავლებლად გაემგზავრე დიდ ბრიტანეთში. მიამბე, რატომ მიიღე ეს გადაწყვეტილება და როგორ ჩაირიცხე ბრისტოლის უნივერსიტეტში?**

პირველ რიგში, გმადლობთ ინტერესისათვის. დიახ, ბრიტანეთში გამომგზავრებამდე, ათი წლის განმავლობაში ვსწავლობდი თბილისის მეორე გიმნაზიაში (ამჟამინდელი 195-ე საშუალო სკოლა). როდის დაიწყო ყველაფერი? კარგი კითხვაა. ზუსტად არ მახსოვს.

ინგლისში სწავლა ჩემი უდიდესი ოცნება იყო – ინგლისი ბავშვობიდან უზომოდ მიყვარდა. უფრო კონკრეტულად, ყველაფერი ალბათ მაშინ დაიწყო, როდესაც კერძო გარემოებებმა საშუალება მომცეს, უფრო რეალურად მეფიქრა ინგლისში სწავლის შესახებ.

ამის შემდეგ, თითქმის მთელი წელი გავატარე კოლეჯების პროფილების შესწავლაში: ვსტუმრობდი ათასგვარ ვებგვერდს, რეიტინგებს და ა.შ. საბოლოოდ, 2006 წელს, ლონდონის ათამდე კოლეჯში გავიარე ინტერვიუ. ათივემ მიმიღო, თუმცა აქედან ათივე უფასო კოლეჯი იყო, ბრიტანეთის საელჩომ კი მკაფიოდ განმიმარტა, რომ არაევროკავშირელ სტუდენტზე სტუდენტურ ვიზას მხოლოდ მაშინ გასცემდა, თუ სტუდენტი სწავლის გარკვეულ საფასურს იხდის. საბოლოოდ, შედარებით იაფიან კოლეჯზე შევაჩერე ყურადღება და იქ მოვეწყვე. აღსანიშნავია, რომ კოლეჯში ქართული სკოლის შეფასების საფუძველზე, გასაუბრებისა და ტესტირების შედეგად მოვხვდი. გასახარია, რომ ქართული საშუალო სკოლის შეფასებას ბრიტანული კოლეჯები აღიარებენ.

უნივერსიტეტს რაც შეეხება, ბრიტანეთში საუნივერსიტეტო აპლიკაციის სისტემა საკმაოდ სწორხაზოვანი და მოქნილია. აპლიკაცია ხდება UCAS-ის მეშვეობით (უნივერსიტეტებისა და კოლეჯების მისაღები სისტემა). საუნივერსიტეტო აპლიკანტის მიღება პერსონალური განცხადების, რამდენიმე დახასიათებისა და კოლეჯის ნიშნების შეფასების შედეგად ხდება. რიგ შემთხვევაში, შესაძლოა უნივერსიტეტმა კანდიდატს გასაუბრებაც დაუნიშნოს, თუმცა, ჩემ შემთხვევაში, ეს ასე არ ყოფილა. ჩვეულებრივ, ტოპოცეულში შემავალი უნივერსიტეტები სტუდენტისაგან, მინიმუმ, ორ A და ერთ B ქულას (AAB) ელიან, თუმცა, ამის შესახებ არანაირი სტატიკური „კანონი“ არ არსებობს – გააჩნია ინდივიდუალურ აპლიკაციას, უნივერსიტეტს და კურსს, ანუ ქულა შეფასების არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი ფაქტორია.

**– მიამბე ბრისტოლის უნივერსიტეტის ისტორია.**

ბრისტოლის უნივერსიტეტი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული უნივერსიტეტია, თითო ადგილზე აპლიკანტების რაოდენობის მიხედვით კი – ბრიტანეთის ყველაზე პოპულარული უნივერსიტეტია. ზოგადად, ბრიტანეთში არსებობს ე.წ. „რასელის ჯგუფი“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ამერიკის აივი ლიგის ბრიტანული ეკვივალენტია და ოც წამყვან (და შესაბამისად ყველაზე პოპულარულ) კვლევით უნივერსიტეტს აერთიანებს. ბრისტოლი ამ ჯგუფის ერთ-ერთი დამაარსებელი წევრი გახლავთ.

ბრისტოლი საერთაშორისოდ აღიარებული კვლევითი ცენტრია, თითქმის ყოველ წელს შედის ბრიტანული უნივერსიტეტების ტოპათეულში, მსოფლიოში კი თითქმის ყოველთვის მიეკუთვნება ტოპორმოცდაათეულს. თუმცა, პირადად მე რეიტინგებს, რიგი მიზეზების გამო, ყურადღებას არ ვაქცევ. პირველ რიგში იმიტომ, რომ რეიტინგები ხელოვნურია და ამა თუ იმ ნიშნით ყოველთვის მიკერძოებული. ამასთანავე, ჩემი აზრით, ნებისმიერ რეიტინგზე უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ აკმაყოფილებს მოცემული ფაკულტეტი ადამიანის ინტელექტუალურ მოთხოვნილებებსა და მოლოდინს. მაგალითად, ჩემ შემთხვევაში, ბრისტოლის ისტორიული დეპარტამენტი (ოქსფორდთან და კემბრიჯთან ერთად) ყველაზე კარგი ისტორიული დეპარტამენტი იყო, სადაც კი შეიძლებოდა მოვხვედრილიყავი იმიტომ, რომ ჩვენს დეპარტამენტს საკმაოდ ძლიერი ინტელექტუალური ისტორიის სკოლა აქვს, მე კი სწორედ ამ მიმართულებით ვიკვლევ და ვინტერესდები.

ბრისტოლის ისტორიას რომ დავუბრუნდეთ, უნივერსიტეტმა სამეფო სიგელი 1909 წელს მიიღო. 2009 წელს 100 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა რიგი ღონისძიებებით, მათ შორის გამორჩენილი ექს-ბრისტოლელების ლექციათა ციკლით. ასეთი კი, საბედნიეროდ, ბევრია. ბრისტოლი, საერთო ჯამში, 11 ნობელის პრემიის ლაურეატთან ასოცირდება, რომელთაგან ზოგი აქ თავად სწავლობდა, ზოგი კი – ასწავლიდა. ბრისტოლში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ თანამედროვე ბრიტანული დრამის უმნიშვნელოვანესი ფიგურები: ჰაროლდ პინტერი, სარა კეინი, მარკ რავენჰილი, დეივიდ გრეგი, ისევე როგორც ფრანგი რომანისტი და ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში – ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიო, რომანისტი დეივიდ მიჩელი და სხვანი. პოლ დირაკი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკაში, ადამიანი, რომელმაც ფაქტობრივად კვანტური მექანიკის დასაბამი განაპირობა, ფიზიკას ბრისტოლში ეუფლებოდა, მსგავსად სერ უილიამ რამზისა, რომელმაც 1904 წელს მიიღო ნობელის პრემია ქიმიაში. ექს-ბრისტოლელები საკმაო წარმატებით სარგებლობენ ჟურნალისტიკაშიც; ამ სფეროში განსაკუთრებულად ორს გამოვყოფდი: ბიბისის რიგით მეორე პოლიტიკურ რედაქტორს – ჯეიმზ ლანდეილს და The Daily Telegraph-ის რედაქტორს – უილიამ ლუისს. ბრისტოლში სწავლობდა მონაკოს პრინცი, ალბერ მეორე. ბრისტოლში, ასევე, სწავლობდა ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის – MI5-ის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი, ბატონი ჯონათან ევანსი. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, რამდენიმე თაობით ადრე, ასევე ბრისტოლში სწავლობდა ცნობილი ფიზიკოსი კლაუს ფუქსი, რომელიც რუსეთისათვის ჯაშუშობდა.

**– უნივერსიტეტში რა პროფესიას ეუფლები?**

მე გახლავართ ხელოვნებათა ფაკულტეტის ისტორიული დეპარტამენტის სტუდენტი. ისტორიის კურსის ფარგლებში, ვსწავლობ სხვადასხვა პერიოდისა და ქვეყნის ისტორიას, თუმცა, ჩემი ინტერესის უმთავრეს სფეროს წარმოადგენს შუა საუკუნეებისა და ადრინდელი მოდერნის (მეთოთხმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეები) ინტელექტუალური ისტორია, ანუ – იდეების ისტორია, ისევე როგორც ადრინდელი მოდერნის კულტურული და თეოლოგიური ისტორიის რიგი ასპექტები.

ისტორია დროში ხეტიალია – უბრალოდ საოცარია, რას არ წააწყდები ქრონოსის ხაზზე: ბებერ ბერს, იდუმალ მკვლელობას, მოხეტიალე ებრაელს, ერეტიკოსს, ეროტიკას, „მფრინავ ჰოლანდიელს“, მითსა და სინამდვილეს, სიზმარსა და რეალობას, დრამას, დროს... რაც მთავარია, დროს. დიახ, ისტორიკოსები მოხეტიალეები ვართ. აი, ფარაჯანოვის „აშიქ ქერიბში“ ან ფამუქის რომელიმე რომანში რომ პოეტ-მუსიკოს-მოხეტიალეა, დაახლოებით ასე ვართ. სამწუხაროდ, ოდნავ უფრო მეცნიერულები და სისტემატურნი. ისტორიოგრაფია დროსთან თამაშია და მე ეს ძალიან მომწონს.

**– ზოგადად, რა შეგიძლია მიამბო ბრისტოლის განათლების სისტემაზე (ზოგადი მიმოხილვა), სასწავლო პროგრამისა და ლექციების შესახებ. (რამდენადაც ვიცი, უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი?), რამდენწლიანია სწავლა? რომელ კურსზე ხარ?**

მსგავსად სხვა ბრიტანული უნივერსიტეტებისა, ბრისტოლში ჰუმანიტარული კურსების უმრავლესობა სამწლიანია, ტექნიკური ხასიათის კურსებისა კი – ოთხწლიანი. სასწავლო პროგრამა და ლექციების კურსი დეპარტამენტზეა დამოკიდებული, თუმცა, შემიძლია გითხრათ ისტორიის პროგრამის სტრუქტურის შესახებ. ლექციების კურსთან ერთად, სტუდენტს ყოველთვის უტარდება 50-წუთიანი სემინარების ციკლი (კვირაში ორი ან სამი), რომელიც წარმოადგენს დეტალურ დისკუსიას 10-15-კაციან ჯგუფში, წინასწარ მოცემულ თემაზე, რომლის შესახებაც სტუდენტმა საკმაოდ ფართო რანგის ლიტერატურა – პირველადი და მეორადი წყაროები – უნდა წაიკითხოს.

სტუმრებს რაც შეეხება, ბრისტოლს ხშირად სტუმრობენ მეცნიერები და მოაზროვნეები სხვადასხვა ქვეყნებიდან, ისევე როგორც ბრიტანული უნივერსიტეტებიდან. მაგალითად, ისტორიის დეპარტამენტის წინა წლის სტუმრებს შორის იყვნენ: თეოლოგიის ოქსფორდელი პროფესორი და მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი ავტორიტეტი ქრისტიანობის შესახებ – დიარმედ მაკკალოხი და პროფესორი მირი რუბინი, საკმაოდ ცნობილი კულტურის ისტორიკოსი.

გასულ წელს, ბრისტოლში, ახალი და ძალიან მისასალმებელი ტრადიცია დამკვიდრდა – „ბრისტოლის საუკეთესონი“ – ლექციათა კურსი, რომელსაც სრულიად უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დასახელებული საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები კითხულობენ. ამ კურსის ერთ-ერთი დამფუძნებელი მე გახლავართ. ჩვენი მიზანი ინტერდისციპლინარული ინტერესის გაღვიძება იყო, რაც საკმაოდ წარმატებით მოვახერხეთ. ამგვარად, ახლა ბრისტოლელ ფიზიკოსს აქვს შესაძლებლობა, ბრისტოლის თეოლოგიის ან ვეტერინარული მედიცინის პროფესორს უსმინოს, ისტორიკოსს კი შეუძლია, სურვილისამებრ, ინჟინერიის დოქტორის ან სულაც დრამატურგის მიერ წაკითხულ ლექციას დაესწროს, რაც სხვა მხრივ შეუძლებელი იქნებოდა, ლექციაზე დაშვების საკმაოდ მკაცრი სისტემის გამო.

**– გრიგოლ, როგორი ქალაქია ბრისტოლი, როგორ ერთობა ახალგაზრდობა?**

ბრისტოლი დიდი ქალაქია (ერთ-ერთი ბრიტანული City), რომელიც დახუნძლულია კლუბებით, პაბებით და კაფე-ბარებით, რაც მშვენიერია, მიუხედავად იმისა, რომ კლუბებში სიარული ჩემი სისუსტე არ გახლავთ. აი, კაფე-ბარებსა და პაბებში კი ხშირად მომკრავს ადამიანი თვალს.

**– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? სპორტით თუ ხარ დაკავებული?**

დიახ, ვცდილობ, დავკავდე სპორტით, ხან გამომდის, ხან – არა. როცა საკმარისი დრო და განწყობა მაქვს, ვცურავ. თავისუფალ დროს, უმეტესწილად, ან მეგობრებთან ვატარებ, ან ინტერნეტში „თარეშს“ ვუთმობ.

**– ეწყობა თუ არა უნივერსიტეტში სამოგზაურო ტურები, რომელ ქვეყნებში გიწევთ წასვლა და რას აკეთებთ იქ?**

ეს კონკრეტულ დეპარტამენტზე და დარგზეა დამოკიდებული. მაგალითად, გეოგრაფები ან თუნდაც არქეოლოგები გაცილებით უფრო აქტიურად მოგზაურობენ, ვიდრე ქიმიკოსები (რომელნიც არასდროს მოგზაურობენ). ისტორიის დეპარტამენტი ყოველწლიურად აწყობს ტურნეებს ევროპის სხვადასხვა ქალაქში, მაგალითად, ბოლო ორი წლის განმავლობაში მოეწყო ტურნეები პარიზსა და ამსტერდამში. მე, სამწუხაროდ, არცერთში არ მიმიღია მონაწილეობა, იმდენად რამდენადაც, მოგეხსენებათ, ქართული პასპორტის, ფაქტობრივად, ერთადერთი ფუნქცია წინაღობების შექმნაა. თუმცა, იმედს ვიტოვებ, წელს მაინც შევძლებ რომელიმე ტურში მონაწილეობას.

**– მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას? ხომ არ აპირებ საქართველოში ჩამოსვლას?**

სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს, სად ვაპირებ დამკვიდრებას. ჩემთვის მთავარია, ვაკეთებდე საყვარელ, საინტერესო საქმეს. ამის გაკეთება კი, იმედი მაქვს, მეტნაკლებად ყველგან შეიძლება.

**– სწავლის პარალელურად, გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა?**

სტუდენტური ვიზით მყოფ პიროვნებას კვირაში მხოლოდ ოცი საათი მუშაობის უფლება აქვს. თუმცა, ეს საკმარისზე მეტია, იმის გათვალისწინებით, რომ ბრიტანეთის საგანმანათლებლო უწყებების მიერ, სწავლის პარალელურად, მხოლოდ 14 საათი მუშაობაა რეკომენდებული.

**– გრიგოლ, facebook-ში შენს კედელზე ასეთი ფრაზა ამოვიკითხე: „ავად ვარ. რა ბედნიერებაა, შემიძლია მთელი დღე ვიკითხო“:) ვიცი, რომ ბევრს კითხულობ, რომელია შენი საყვარელი ლიტერატურული ჟანრი და საყვარელი მწერალი?**

რთული შეკითხვაა. თუ დრო მყოფნის, ვკითხულობ ყველაფერს, რაც ოდნავ მაინც მაინტერესებს. ადრე რატომღაც მიმაჩნდა, რომ „უნდა“ მეკითხა ესა და ეს და მხოლოდ ამის შემდეგ – ისა და ის. ახლა მგონია, ვცდებოდი. ყველაზე კარგი თავისუფალი კითხვა: ბევრი ავტორი, ბევრი ჟანრი, ისტორიები ავტორებისა და ტექსტების შესახებ (რომლებიც არაფრით ჩამოუვარდება თავად ადამიანებსა და ტექსტებს), თეორია... ყველაზე დიდ სიამოვნებას კი, მაინც პარალელებში ვიჭერ, პარალელებში ტექსტებს, იდეებს და ავტორებს შორის, რომლებიც გარკვეულ ეტაპზე ჩემს გონებაში პერიოდებად, ჟანრებად, ოჯახებად იყოფა. ეს „პარალელობანა“ ნარკოტიკულად მძლავრი სურვილია – ძალიან რთულია თავის დანებება. საყვარელი მწერლის დასახელება შეუძლებელი მგონია. ყველა მწერალთან სხვადასხვა დამოკიდებულება მაქვს. ყველა სხვადასხვანაირად მიყვარს.

**– ცოტა ფილმზეც ვისაუბროთ, რატომ გადაწყვიტე, რომ მაინცდამაინც ამ ფილმის – „ჩვენ გვყავს პაპი“ რევიუ დაგეწერა? ფილმი ძალიან მომეწონა, მელვილი ჩემთვის ღირსეული ადამიანია. ყველას როდი შეუძლია აღიაროს თავისი სისუსტე და უარი თქვას დიდ პასუხისმგებლობაზე, საქართველოში ეს განსაკუთრებით იგრძნობა, გეთანხმები: „განკაცებული პაპი უპრეცედენტოა – გაპაპებული კაცი მრავალი ყოფილა“. მართლაც კარგი იქნებოდა, „გაპაპებული ადამიანები“ ფეხით რომ დადიოდნენ ქუჩაში...**

მორეტის „ჩვენ გვყავს პაპი“ უზომოდ მნიშვნელოვანი ფილმია. არც მეტი და არც ნაკლები, ფილმი თავად რომის პაპის პერსონის დეკონსტრუქციას ახდენს. პაპს ეშინია, გარბის. ნუთუ ესეც შესაძლებელია? – გვიჩნდება კითხვა. დიახ, როგორც ჩანს, ასეა. მარტივი საქმე როდია, კარგად ცნობილის და აზროვნებაში გამჯდარის დეკონსტრუქცია – მორეტი კი ამას საკმაოდ წარმატებულად ახერხებს.

სწორედ ამგვარი დეკონსტრუქციების საჭიროებას ვხედავ თანამედროვე საქართველოში. ქართულ რეალობაში ძალიან ბევრი მითია, რეალური კი – ძალიან ცოტა. საქართველოს მორეტისნაირი ინტელექტუალები აკლია – ხალხი, ვინც სტერეოტიპების, მითებისა და წარსულის მოდელირებული და იდეალიზირებული ხედვის წინააღმდეგ გაილაშქრებს. ეს დეფიციტი არა მხოლოდ კინოსა და ხელოვნებაში, არამედ ლიტერატურაში და სრულიად საჯარო ინტელექტუალიზმშიც იგრძნობა.

ვფიქრობ, ჩვენი აწმყო მოდელირებულ ფუნდამენტზე დგას, რაც ძალიან საშიშია, ისევე როგორც წარსულის (და არა მარტო წარსულის) მოდელირების სხვადასხვა მცდელობა. მაგალითად, უმჯობესი იქნებოდა, საბჭოთა სიმბოლოებთან ბრძოლის ნაცვლად, მეტი ყურადღება დაგვეთმო ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის, წარსულის შელამაზების ნაცვლად კი, დროულად გაგვეაზრებინა მისი კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობა.

სწორედ მოდელირებული ფუნდამენტია წარსულის ჩვენში გავრცელებული ხედვა. ისტორიოგრაფია დღემდე უგემოვნოდაა გაძეძგილი წმინდანებით და უწმინდურებით, ანტაგონისტებითა და პროტაგონისტებით, რაც ყოველგვარ მეცნიერულ ანალიზს მოკლებული და პრიმიტიულია.

ვფიქრობ, ეს სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს. ამაში კი, დიდი როლი ქართულმა განათლების სისტემამ უნდა ითამაშოს, რომელიც, ჩემი აზრით, დღემდე ვერ ახერხებს მოსწავლეში საკმარისად კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მაგალითად, კარგი იქნება, თუ საშუალო განათლების მიღებისას მოსწავლე გაიაზრებს, რომ დავით აღმაშენებელი ჯერ მეფე იყო და შემდეგ – წმინდანი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არა საკრალური, არამედ ლიტერატურული ტექსტია, რომ „ყურანის“ წაკითხვა ისევე საინტერესო შეიძლება იყოს, როგორც „ბიბლიის“. კარგი იქნება, თუ რელიგიის ისტორია საბოლოოდ გაამართლებს განგების მიერ მისთვის მინიჭებულ სათაურს და მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიიდან რელიგიების ისტორიად იქცევა.

დრო არ იცდის. საქართველოში ზედმეტად ბევრი მითი თანაარსებობს. აუცილებლად მიმაჩნია მათი სწავლისა და კრიტიკისათვის შეფარდება, თუ, რაღა თქმა უნდა, არ გვსურს, რომ ის მოდელირებული და ხავსმოდებული ფუნდამენტი, რომელზეც ყველანი ერთად ვდგავართ, ჩაინგრეს და ჩვენც თან ჩაგვიყოლოს.

**– სამომავლოდ, რას უნდა ველოდოთ შენი შემოქმედებიდან?**

არაფერს. და ყველაფერს.

*ესაუბრა*
***მაკა ყიფიანი***

# ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა, I-IV ტომი, – 11 ლარი
- ნოდარ დუმბაძე, I-V ტომი, – 13 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი, I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი, I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა, I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი, I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია, I, II, III, VI, VII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი, I-V ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე, I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე, I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი, I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე, I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი, I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

### ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

### გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად



საყმაწვილო ენციკლოპედია „მსოფლიოს რელიგიები“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

პირველად საქართველოში!
მოსწავლეებისა და
პედაგოგების სამაგიდო წიგნი
თამარ ბეროზაშვილი
„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



# „ახალი განათლების“ წიგნის თარო

## მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

## შეგვიკვეთეთ!







მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

### „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი – 12 ლარი



- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერიხ მარია რემარკი - სამი მეგობარი
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები ახალი
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა ახალი
- მაინ რიდი - კვარტერონი ახალი

### „რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

CMYK